ლელო

№ 31
(10991)

19-21 ივნისი, 1996 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში

მეორე ტურში ყურადღების ცენტრში, რა თქმა უნდა, ჩეხეთ-იტალიის შეხვედრა იყო. ბევრს აინტერესებდა რას მოიმოქმედებდა „სკუადრა აძურას“ გუნდის მწვრთნელი არიგო საკი. იგი შეჯიბრებისწინა ინტერვიუებში გერმანიისა და რუსეთის გუნდებს მიიჩნევდა მთავარ მეტოქეებად მეოთხედფინალში გასასვლელად. მან აშკარად აუარა გვერდი 1976 წლის ჩემპიონს ჩეხეთის გუნდს, რომელმაც ფინალში თანაბარი ბრძოლა გაუმართა გფრ-ის უძლიერეს ნაკრებს — 2:2, ხოლო დამატებითი პენალტებით გაიმარჯვა კიდეც.

საკის შეცდომა ისიც იყო, რომ ამ მატჩისთვის გუნდის ძირითად შემადგენლობაში ხუთი (!) ახალი მოთამაშე შეიყვანა, მათ შორის დინო ბაჯო და რავანელი, რაც მიუტევებელი შეცდომა აღმოჩნდა. ამას ისიც დაემატა, რომ მეორე ყვითელი ბარათი დაიმსახურა აპალონიმ და „აძურას“ ათი ფეხბურთელი შერჩა მინდორზე.

ანგარიში მატჩის დასაწყისშივე გახსნეს ჩეხებმა. იტალიელებმა ეს ბურთი გაქვითეს, მაგრამ მეტის გაკეთება ვერ მოახერხეს. თამაშს წერტილი დაუსვა ბეიბლმა. (113) მისმა გოლმა გადაწყვიტა ბრძოლის ბედი. 2-1 ჩეხების სასარგებლოდ.

თურქეთი — პორტუგალია. პირველი ტაიმი არაფრით იყო გამორჩეული, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ 33-ე წუთზე პორტუგალიელებმა ნაღდი შანსი გაუშვეს გოლის გატანისა. შესვენების შემდეგ სისწრაფითა და კარში სახიფათო დარტყმებით გამოირჩეოდა ჟოაო პინტუ. მასთან ერთად მეტოქის დაცვას პრობლემებს უქმნიდნენ ფიგოუ, დიმაში, სანტუში. ბოლოს მცველმა კოუტუმ გოლი გაიტანა კიდეც და იგი ერთადერთი აღმოჩნდა ამ მატჩში.

თუ როგორი ინტერესით ელოდა ყველა ძველი მეტოქეების, შოტლანდია — ინგლისის შეხვედრას, ამაზე სიტყვის გაგრძელება არცაა ლირს. იგი შემთხვევით როდი დაამთხვიეს ინგლისის დედოფლის დაბადების 70-ე წლისთავს და მატჩს „უემბლიზე“ 76 ათასი კაცზე მეტი დაესწრო. უნდა ითქვას, რომ თანამემამულეებმა ღირსეული „საჩუქარი“ მიართვეს დედოფალს და ერთი მეორეზე უკეთესი გოლებით აღნიშნეს საიუბილეო თარიღი.

მიუხედავად იმისა, რომ მეტოქეები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს (ინგლისის კლუბში

იხ. მე-6 გვ.

შუკერი

გასქოინი

კლინსმანი

ყველა გოლს აქვს თავისი ცხოვრება, რომელიც, უმეტესწილად, მისი გამტანის პიროვნულ თვისებებსა და ტექნიკურ შესაძლებლობებს ასახავს. იურგენ კლინსმანის მეორე გოლი რუსეთის ნაკრების კარში თამამად შეიძლება უმაღლეს კატეგორიას მივაკუთვნოთ ისევე, როგორც ხორვატ დავორ შუკერის მესამე გოლი პიტერ შმეიხელის კარში და ინგლისელ პოლ გასკოინის დაუვიწყარი გოლი შოტლანდიელებთან მატჩში, რომელიც, თუ რაიმე განსაკუთრებული არ მოხდა, უსათუოდ დაიმსახურებს. ჩემპიონატის ულამაზესი გოლისათვის დაწესებულ ჯილდოს.

ყველა გოლი

ორი ტურის შემდეგ ჩემპიონატის 16 მატჩში გავიდა 30 გოლი, რაც იმას ნიშნავს, რომ ერთ მატჩში ფეხბურთელებს საშუალოდ 1,87 გოლი გაჰქონდათ. ეს თავისთავად, არ არის მაღალი მაჩვენებელი. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ პირველ წრეში თუ 13 გოლი გავიდა, მეორეში ერთგვარი მატება აღინიშნა — 17 გოლი.

სნაიპერთა სიას ჯერჯერობით, 2-2 გოლით ერთბაშად ხუთი ფეხბურთელი ლიდერობს: იურგენ კლინსმანი (გერმანია), პიერლუიჯი კაზირაგი (იტალია), ალან შირერი (ინგლისი), ხრისტო სტოიჩკოვი (ბულგარეთი) და დავორ შუკერი (ხორვატია). ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ კლინსმანმა ორი გოლი ერთ თამაშში გაიტანა, დანარჩენმა ბომბარდირებმა კი ორ-ორში.

ცალკეული ქვეყნების მიხედვით სნაიპერთა სია გამოიყურება ასე:

A ჯგუფი

ინგლისი - 3 გოლი. შირერი - 2, გასკოინი - 1
ჰოლანდია - 2. კრუიფი - 1, ბერგკამპი - 1.
შვეიცარია - 1. ტიურკილმაზი - 1.
შოტლანდია - 0.

B ჯგუფი

საფრანგეთი - 2. დიუგარი - 1. ჯორკაეფი - 1.
ბულგარეთი - 2. სტოიჩკოვი - 2
ესპანეთი - 2. ალფონსო - 1, კამინერო - 1
რუმინეთი - 0.

C ჯგუფი

გერმანია - 5. კლინსმანი - 2, ციგე - 1, მელერი - 1, ზამერი - 1.
იტალია - 3. კაზირაგი - 2, კიეზა - 1.
ჩეხეთი - 2. ნედვიდი - 1, ბეიბლი - 1.
რუსეთი - 1. ციმბალარი - 1.

D ჯგუფი

ხორვატია - 4. შუკერი - 2, ვლაოვიჩი - 1, ბობანი - 1.
პორტუგალია - 2. სა პინტუ - 1, კოუტუ - 1.
დანია - 1. ბ. ლაუდრუპი - 1
თურქეთი - 0.

მონაწილენი ერთ მწკრივში

ორი ტურის შემდეგ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
გერმანია	2	2	0	0	5-0	6
ხორვატია	2	2	0	0	4-0	6
ინგლისი	2	1	1	0	3-1	4
ჰოლანდია	2	1	1	0	2-0	4
საფრანგეთი	2	1	1	0	2-1	4
ბულგარეთი	2	1	0	2	2-1	4
პორტუგალია	2	1	1	0	2-1	4
იტალია	2	1	0	1	3-3	3
ჩეხეთი	2	1	0	1	2-3	3
ესპანეთი	2	0	2	0	2-2	2
შვეიცარია	2	0	1	1	1-3	1
შოტლანდია	2	0	1	1	0-2	1
დანია	2	0	1	1	1-4	1
რუმინეთი	2	0	0	2	0-2	0
თურქეთი	2	0	0	2	0-2	0
რუსეთი	2	0	0	2	1-5	0

კიდევ ერთი ანკეტა

პოპულარულმა იტალიურმა სპორტულმა გაზეთმა „ლა გაძეტა დელო სპორტმა“ ჩაატარა საინტერესო სამკითხვიანი ანკეტა: 1. ვინ გახდება ჩემპიონი, 2. ვინ იქნება ტურნირის საუკეთესო ბომბარდირი და 3. ვინ იქნება ჩემპიონატის აღმოჩენა. გამოკითხვაში მონაწილეობდნენ ფინალის მონაწილე გუნდების მწვრთნელები და კაპიტნები.

ჩემპიონი. 1. გერმანია — 23 ქულა, 2. იტალია — 20, 3. ინგლისი — 17,5.

ბომბარდირი. 1. კლინსმანი (გერმანია) — 15, 2. კლუივერტი — (ჰოლანდია) — 13,3. შუკერი (ხორვატია) — 13.

აღმოჩენა. 1. დელ პიერო — 19, 2. კიეზა (ორივე იტალია) — 7,5, 3. კლუივერტი (ჰოლანდია) — 7,5.

მანჩესტერი ვერ ელევა ქინქლაძეს და ფულსაც არ იშურებს მის შესანარჩუნებლად

როგორც „კომსომოლსკაია პრავდას“ სპეციალური კორესპონდენტები ვლადიმერ კოზინი და დიმიტრი ფილიპჩენკო ევროპის ჩემპიონატიდან იუწყებიან, მანჩესტერის ფეხბურთის მოყვარულთა და ჟურნალისტთა წრეებში განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებენ ორ ფაქტზე, რომელიც უშუალოდ არ წარმოადგენს სატურნირო თემას, მაგრამ ფეხბურთთან საკმაოდ მჭიდროდაა დაკავშირებული და მნიშვნელოვანწილად სწორედ ინგლისს ეხება.

პირველი ინფორმაციის თანახმად იურგენ კლინსმანი მომავალ სეზონში არ ითამაშებს ინგლისის „ჩელსში“, სადაც მას მოუთმენლად ელოდებოდა ძველი მეგობარი და კლუბის მოთამაშე მწვრთნელი რუუდ გულიტი. ამ ინფორმაციის თანახმად, გერმანელმა ფეხბურთელმა გადაწყვიტა დარჩეს მიუნხენის „ბაიერნში“.

მანჩესტერელ გულშემატკივრებს კი უფრო მეტად აინტერესებთ ქართველი ლეგიონერის გიორგი ქინქლაძის ბედი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მათმა საყვარელმა კლუბმა „მანჩესტერ სიტიმ“ დატოვა უმაღლესი დივიზიონი. ინგლისში გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ კლუბის ხელმძღვანელობამ გამონახა 8,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი, რათა შეინარჩუნოს ქინქლაძე. უნდა ითქვას, რომ 8,5 მილიონი გირვანქა სეზონებს შორის პერიოდისათვის სარეკორდო თანხაა.

	«A» ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ინგლისი		1-1		2-0		
2	შვეიცარია	1-1		0-2			
3	ჰოლანდია		2-0		0-0		
4	შოტლანდია	0-2		0-0			

8.06. ინგლისი — შვეიცარია 1-1
10.06. ჰოლანდია — შოტლანდია 0-0
13.06. შვეიცარია — ჰოლანდია 0-2
15.06. შოტლანდია-ინგლისი 0-2
18.06. შოტლანდია — შვეიცარია
18.06. ჰოლანდია — ინგლისი

	«B» ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	ესპანეთი		1-1		1-1		
2	ბულგარეთი	1-1		1-0			
3	რუმინეთი		0-1		0-1		
4	საფრანგეთი	1-1		1-0			

9.06. ესპანეთი — ბულგარეთი 1-1
10.06. რუმინეთი — საფრანგეთი 0-1
13.06. ბულგარეთი — რუმინეთი 1-0
15.06. საფრანგეთი — ესპანეთი 1-1
18.06. საფრანგეთი — ბულგარეთი
18.06. რუმინეთი — ესპანეთი

	«C» ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	გერმანია		2-0		3-0		
2	ჩეხეთი	0-2		2-1			
3	იტალია		1-2		2-1		
4	რუსეთი	0-3		1-2			

9.06. გერმანია — ჩეხეთი 2-0
11.06 იტალია — რუსეთი 2-1
14.06. ჩეხეთი — იტალია 2-1
16.06. რუსეთი — გერმანია 3-0
19.06. რუსეთი — ჩეხეთი
19.06. იტალია — გერმანია

	«D» ჯგუფი	1	2	3	4	ბ	ქ
1	დანია		1-1		0-3		
2	პორტუგალია	1-1		1-0			
3	თურქეთი		0-1		0-1		
4	ხორვატია	3-0		1-0			

9.06. დანია — პორტუგალია 1-1
11.06. თურქეთი — ხორვატია 0-1
14.06. პორტუგალია — თურქეთი 1-0
16.06. ხორვატია — დანია 3-0
19.06. ხორვატია — პორტუგალია
19.06. თურქეთი — დანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება ქვეყანაზე

• **საფრანგეთის** კალათბურთელ ვაჟთა ნაკრები, რომელიც ოლიმპიადის მიღმა დარჩა, ივლისის ბოლოს გაემგზავრება აშშ-ში და იქ ხუთ მატჩს ჩაატარებს ნბა-ს გუნდებთან. უკვე მიღწეულია შეთანხმება „პორტლენდთან", „შარლოტთან", „ფინიქსთან", „ორლანდოსა" და „გოლდენ სტეიტთან" შეხვედრებზე.

• **წლევანდელი** უიმბლდონის წინ გერმანელმა ჩოგბურთელმა ბორის ბეკერმა საერთაშორისო ტურნირში დაამარცხა ამერიკელი ჯონათან სტარკი და ბალახის კორტებზე თავისი გამარჯვებების ჰერი ასამდე აიყვანა. ბოლო შვიდი წლის მანძილზე ბალახის საფარიან კორტებზე ასეთი შედეგი არ ჰქონია არავის. 100-იან ზღურბლს უკანასკნელად გადააბიჯა ამერიკელმა ჯონ მაკინროუმ 1989 წელს.

• **ნბა-ს** კლუბმა „საკრამენტომ" ლიტველი მცველი შარუნას მარჩიულიონისი (ყოველ მატჩში 10,8 ქულა და 2,2 საგოლე გადაცემა) დაუთმო „დენვერს" და სანაცვლოდ მიიღო ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო გამთამაშებელი — მაჰმუდ აბდულ-რაუფი. ამავე დროს „დენვერმა" მიიღო 1996 წლის დრაფტის მეორე წრეში არჩევის უფლება.

• **ავსტრიელი** ჩოგბურთელის თომას მუსტერის აზრით, ოლიმპიური თამაშები მნიშვნელოვანი შეჯიბრებაა, ვთქვათ, მოცურავეებისათვის ან მძლეოსნებისათვის, რომლებიც მთელი ოთხი წლის მანძილზე ემზადებიან მისთვის. ჩოგბურთელები კი ყოველ წელს გამოდიან „დიდი სლემის" ოთხ ტურნირში და თითქმის ყოველ კვირას არიან დაკავებული. ამიტომაც მან უარი თქვა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობაზე. მაგრამ მუსტერი, ეტყობა, ბოლომდე გულახდილი არ არის, ვინაიდან 1984 წელს ლოს-ანჯელესის თამაშებში იგი საჩვენებელი ტურნირის მონაწილე იყო, ოთხი წლის შემდეგ ბარსელონაში კი მთავარი ტურნირისა.

• **რუსეთის** კალათბურთელთა ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი მიხაილ მიხაილოვი ხელს აწერს კონტრაქტს მადრიდის „რეალთან". უკვე ცნობილია კონტრაქტის პირობა — მომავალ სეზონში რუსი ლეგიონერი მიიღებს 600 ათას დოლარს. მაგრამ ევროპის 96-97 წლის თასის გათამაშებაში ვერ იასპარეზებს. ვინაიდან მესამე უცხოელი ლეგიონერი იქნება. ამერიკელ ჯო არლაუკასისა და სერბ დეიან ბოდიროგას კანდიდატურები ეჭვს არ იწვევს.

• **ბრიტანეთის** მძლეოსნობის ფედერაციამ აუკრძალა ლონდონში ჩასვლა ამერიკელ მორბენალს მაიკლ ჯონსონს. საქმე ის გახლავთ, რომ ჯონსონს სურდა ძალები მოესინჯა ტურნირში, რომელსაც ლონდონი მასპინძლობს 12 ივნისს. ეს მისი გადაწყვეტილებით იქნებოდა ძალების ბოლო გამოცდა ატლანტის წინ. ამ აკრძალვის მოტივი ყოვლად გაუგებარია, ნიშანდობლივია მხოლოდ ის, რომ ინგლისელები უკვე მეორედ ეუბნებიან უარს ჯონსონს ბრიტანეთში ჩასვლაზე.

გზა, რომელიც კალათბურთის მოედნიდან სენატორის სავარძლამდე მივიდა

...ერთხელ ჟურნალისტი დაინტერესდა თუ როგორ დახელოვნდა ბრედლი ფენომენალური სიზუსტით ეტყორცნა ბურთი შორი მანძილიდან. საუბარი მიმდინარეობდა მოედანზე იმ ადგილთან ახლოს, სადაც ცენტრალური და გვერდითი ხაზები ჰკვეთს ერთმანეთს. თანაც ბილი, ბურთით ხელში, ფარისკენ ზურგით იდგა. მისი პასუხი — „ეს ძალიან ადვილია", დამთავრდა ხელების მოძრაობით, რის შემდეგ ბურთი კალათში ჩაეშვა.

„არ შეიძლება გაიმეოროთ?" — დაინტერესდა პრესის გაოცებული წარმომადგენელი. „რამდენჯერაც გნებავთ" — უპასუხა ბრედლიმ და ბურთი კვლავ აღმოჩნდა კალათში.

მაინც საიდან ასეთი ოსტატობა, ასე როგორ მოათვინიერა ბურთი ბრედლიმ?

ყველაფერს აქვს თავისი დასაწყისი და ჩვენც 40-იანი წლების მიწურულს და 50-იანის პირველ ნახევარში უნდა გადავინაცვლოთ.

ბილ ბრედლი, ომის დამთავრებამდე რამდენიმე ხნით ადრე დაიბადა. ნბა-ს მოთამაშეებისაგან განსხვავებით მან ბავშვობაში არ იცოდა რა იყო სიღარიბე — იგი ბანკირის შვილი გახლდათ.

მშობლები ვაჟის შემოქმედებითი და ჰარმონიული აღზრდისთვის არაფერს იშურებდნენ, ბუნებრივია, არც სპორტი გამორჩენიათ მხედველობიდან. მაგრამ სპორტი იმდენი დოზით, რაც საჭირო იყო ჯანმრთელობისათვის. არჩევანი კალათბურთსა და კეტბურთზე შეჩერდა.

ვიდრე ბილი 19 წლისა გახდებოდა, ოჯახთან ერთად, ყოველწლიურად ორი თვე ზამთარს ფლორიდაში ატარებდა. აქ კალათბურთი არავის აინტერესებდა. უფრო ფეხბურთი და ფარიკაობა იყო მოდაში. ბილი აქაც არ განშორებია კალათბურთს, გამოძებნა მოედანი და ყოველდღე შეუპოვრად ვარჯიშობდა, ცხადია, საკუთარი ბურთით. ხანდახან სკოლის ბიჭები თუ შეეხმიანებოდნენ მოედანზე, ძირითადად ეულად ხვეწდა ტექნიკას, დასახული გეგმით ტყორცნიდა სხვადასხვა კუთხიდან. კალათბურთი მას აძლევდა არა მარტო ჯანმრთელობას, არამედ ანიჭებდა სიხარულსაც და იქნებ ამიტომაც არ ეძნელებოდა ადვილად მორეოდა სწავლასა და ცხოვრების რთულ რეჟიმს. 13 წლისამ პირველად გაილაშქრა მშობლების სურვილის წინააღმდეგ — ზამთარში არ წავიდა ფლორიდაში, შინ დარჩენა ამჯობინა, რათა ეთამაშა კალათბურთი თანატოლებთან და დაგეგმილ შეჯიბრებებშიც ესპარეზა. როცა ვარჯიში ან შეჯიბრება მორჩებოდა ბილი 1-2 საათს მაინც რჩებოდა მოედანზე და მარტოდ მარტო საკუთარ თავთან გაითამაშებდა ხოლმე მთელ მატჩს. მაგალითად, წარმოიდგენდა, რომ მიმდინარეობს დაძაბული შეხვედრა, საფინალო სასტვენამდე რჩება სამი წუთი და იმისათვის, რომ მოიგოს ეს შეხვედრა აუცილებელია სამჯერ ზუსტად დალაშქროს კალათი. და ამ სამწუთიან ფინალს იგი რამდენჯერმე ზედიზედ გაითამაშებდა ხოლმე, გაიმეორებდა იმდენჯერ, რამდენიც საჭირო იყო „რეალური უპირატესობისა და გამარჯვების მოსაპოვებლად".

აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი გარემოება: იმ ხანებში კალათბურთმა ტელეეკრანებზეც დაიწყო დამკვიდრება და ბილს შესაძლებლობა მიეცა მიებაძა ნბა-ს ცნობილი კალათბურთელებისათვის, გადაეღო მათი თამაშის მანერა და სტილი.

სკოლის მწვრთნელი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ბილს ფეხბურთშიც ევარჯიშა, რადგან თვლიდა, ფეხბურთი აუცილებელი იყო კალათბურთელისათვის. ბილი კი სხვაგვარად ფიქრობდა. ბოლოს მწვრთნელი დაჰყვა შეგირდის სურვილს, ოღონდ ერთი პირობით — ორჯერ მეტი უნდა ევარჯიშა კალათბურთში.

მშობლები სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ კალათბურთით შვილის პროფესიულ გატაცებას, მაგრამ რაკი ბილი ყველაფერს სამაგალითოდ ასწრებდა, რაც მისი აღზრდისათვის იყო დაგეგმილი და მხოლოდ თავისუფალ დროს უთმობდა კალათბურთს, მშობლებს შვილთან დავის საბაბი აღარ ჰქონდა.

ბილი თავისთავადაც გრძნობდა — რაც უფრო ღრმად ეუფლებოდა განათლებას და იმაღლებდა ინტელექტს, მით უფრო ერკვეოდა კალათბურთის თამაშის საიდუმლოებაში. „მე ვფიქრობ, რომ ინტელიგენტურობა, უფრო სწორად, ინტელექტუალობა, მოთამაშის აუცილებელი თვისება უნდა იყოს, თუ მას სურს იწოდებოდეს დიდ სპორტსმენად".



ბრედლი

დიახ, ბილი ინტელექტუალი სპორტსმენის ნამდვილი განსახიერება იყო. მას ხშირად უთქვამს, რომ კალათბურთს არ უნდა ესაჭიროებოდეს გვერდითი ხაზიდან მწვრთნელის კარნახით თამაში, ის თავად ყველაზე უკეთ უნდა ხედავდეს როდის რა მოიმოქმედოს და როგორ ითამაშოს. ჟურნალისტებს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ „ბილი მოედანზე ხატავდა ჭეშმარიტად ინტელექტუალური კალათბურთის სურათს". ბილ ბრედლიმ პირველმა დაიწყო მსჯელობა იმის შესახებ, რომ პროფესიონალი სპორტსმენი ეს იგივეა, რაც მეწარმე, სპორტში კი მომხმარებელია გულშემატკივარი. მისი აზრით, სპორტსმენმა მეტი არტისტიზმი უნდა გამოიჩინოს, რათა ისევე აღაფრთოვანოს მაყურებელი, როგორც კარგმა მსახიობმა.

პოლიტიკაც უფრო სპორტსმენს ჰგავს, ვიდრე მსახობს და მაინც, „მე არ მსურს პროფესიული კალათბურთიდან წასვლის შემდეგ გავყვე პოლიტიკას". თუმცა... ყოფილი პროფესიონალი კალათბურთელი, რომელმაც რამდენიმე წელიწადი გაატარა „ნიკსში", გახდა ოლიმპიური ჩემპიონი, ნბა-ს ორგზის ლაურეატი, მაინც გაჰყვა პოლიტიკას.

დაახლოებით 15 წლის შემდეგ, რაც ბილი გამოეთხოვა თავის კლუბს, აშშ-ის სენატორი უილიამ ბრედლი მილიონობით ტელემაყურებელმა იხილა ტელეხიდში „მოსკოვი — ვაშინგტონი". გადაცემაში მაშინდელი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები და აშშ-ს სენატორები მონაწილეობდნენ. თუმცა, მაშინ საუბარი სულაც არ შეეხებოდა სპორტულ თემას, ბრედლიმ მაინც აღნიშნა, რომ იგი მოხიბლულია ოლიმპიურ თამაშებში საბჭოთა კალათბურთელების გამოსვლით. ეს არ იყო დიპლომატიური კომპლიმენტი კომპლიმენტისათვის — წინააღმდეგ შემთხვევაში ბრედლი — პოლიტიკოსი უღალატებდა ბრედლი — კალათბურთელს... ეს იყო სპორტსმენი პოლიტიკოსისა და პოლიტიკოსი სპორტსმენის შინაგანი ხმა, რასაც სპორტთან ერთხელ ნაზიარევი ადამიანი საკუთარ თავში ვერასდროს ჩაახშობს.

მოამზადა ცოტნე ბაქრაძემ.

ლაშა ჯანჯღავა საქართველოს ჩემპიონია

საქართველოს ჩემპიონატის უკანასკნელ, მეცხრე ტურში ერთმანეთს შეხვდა პირველი ადგილის ორი პრეტენდენტი — ლაშა ჯანჯღავა და ხვიჩა სუპატაშვილი. ეს პარტია ყაიმით დასრულდა და ორივე მეტოქემ 6,5 ქულა მოაგროვა. ჩემპიონის გამოსავლენად საჭირო გახდა კოეფიციენტების ცხრილის გამოყენება. უკეთესი მონაცემები ჯანჯღავას აღმოაჩნდა და მას ჩემპიონის წოდება მიანიჭა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად მხოლოდ ამ მონაწილემ წარმართა. როგორც ჯანჯღავამ, ისე სუპატაშვილმა საქართველოს ოლიმპიურ ნაკრებში თამაშის უფლება მოიპოვეს.

5,5-5,5 ქულით III-IV ადგილები გაიყვეს დავით ლობჟანიძემ და რომან სიჭინავამ. 5-5 ქულა აქვთ გია ბაღათუროვსა და გიორგი ყაჭეიშვილს, 4 — სანდრო დგებუაძეს, 3,5 — კახა შალამბერიძეს, 2 - თამაზ ტაბატაძეს და 1,5 — ბუხუტი გურგენიძეს.

გავახსენებთ, რომ ტურნირში პირველ და მეორე ადგილებზე გამოსული მოჭადრაკეები დაემატებიან დიდოსტატებს ზურაბ აზმაიფარაშვილს, გია გიორგაძეს, ზურაბ სტურუასა და გენადი ზაიჩიკს. სწორედ ამ შემადგენლობით მოემზადება საქართველოს ნაკრები ერევნის საერთაშორისო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გამოსასვლელად.

უფრო დაწვრილებით

თამაზ იმნაიშვილი მეორე იყო

გერმანიის ქალაქ ზულში გაიმართა მსოფლიო თასის ეტაპი მრგვალ და სატრანშეო სტენდზე სროლაში. მრგვალ სტენდზე ბრწყინვალედ გამოვიდა ჩვენი თანამემამულე მსოფლიოს ექსჩემპიონი თამაზ იმნაიშვილი. როგორც ვიუწყებოდით მან 150 შესაძლებლიდან 149 ქულა (125+24) დააგროვა და მეორე ადგილი დაიკავა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ იმნაიშვილმა წინასწარ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდი გაიმეორა. ეტაპი კი იტალიელმა ანდრეა ბანელიმ მოიგო — 150 (125+25). ბანელის მაჩვენებელი მსოფლიოს აბსოლუტური რეკორდის გამეორებაა.

სატრანშეო სტენდზე ყველას აჯობა ასევე იტალიელმა მარსელო ტიტარელიმ — 150 (125+25), ეს შედეგიც მსოფლიო რეკორდის გამეორებაა.

ყველა გეზი - ატლანტისკენ!

• **მძლეოსნობა**. მაღალი შედეგებია ნაჩვენები დუისბურგში (გერმანია) გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე. ატლანტის ოლიმპიადის ფავორიტებმა თავი გამოიჩინეს მთელ რიგ სახეობებში. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს: 100 მ. დონოვან ბეილი (კანადა) — 9,88, პეტერ კარლსონი (შვეცია) — 9,98; 200 მ. ფრენკი ფრედერიკსი (ნამიბია) — 19,96.

• **მძლეოსნობა**. შესაძლოა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ ამერიკელ თარჯმრბენს დენი ჰარისს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯოს. ბოლო ოთხი წლის მანძილზე მის დოპინგ სინჯში მეორედ აღმოაჩინეს კოკაინის კვალი. პირველად ეს მოხდა 1992 წელს. მაშინ ჰარისს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ჰქონდა, მაგრამ შეჯიბრებებში რატომღაც მაინც გამოდიოდა. ამჟამად კი განაჩენი, როგორც ჩანს უფრო მკაცრი იქნება.. არადა, ატლანტაში ჰარისი უსათუოდ მოიპოვებდა რომელიმე საპრიზო ადგილს.

ვის როგორი ჯიბე აქვს?

ჩოგბურთელთა საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა უძლიერეს მოთამაშეთა წლევანდელი ჰონორარები 14 ივნისის მონაცემებით. გთავაზობთ 5-5 ყველაზე მდიდარი ჩოგბურთელის გვარს:

	ვაჟები		
ე. კაფელნიკოვი	(რუსეთი)	—	1.330.912
თ. მუსტერი	(ავსტრია)	—	1.059.341
გ. ივანიშევიჩი	(ხორვატია)	—	996.489
პ. სამპრასი	(აშშ)	—	742.231
მ. ჩანგი	(აშშ)	—	724.632
	ქალები		
შ. გრაფი	(გერმანია)	—	1.061.573
ა. სანჩესი	(ესპანეთი)	—	897.083
კ. მარტინესი	(ესპანეთი)	—	534.313
მ. სელეში	(აშშ)	—	487.552
ი. მაიოლი	(ხორვატია)	—	471.130

შენიშვნა. ჰონორარები დაანგარიშებულია ამერიკულ დოლარებით.

36 საათი წყალში

ავსტრალიელი მოცურავე სიუზი მარონი მარათონული დისტანციის სპეციალისტად ითვლება, მაგრამ, ამას წინათ, მან ამ სახეობის სპეციალისტებიც გააკვირვა გაბედული ექსპერიმენტით. მარონმა მიზნად დაისახა კუბიდან აშშ-ში გადაცურვა. 175-კილომეტრიან ტრასაზე რა დროს მოუხდებოდა ზვიგენებთან შეხვედრა კაცმა არ იცოდა. რაიმე გაუთვალისწინებელი რომ არ მომხდარიყო, მოცურავე მოამწყვდიეს რკინის ვეებერთელა გალიაში, რომელსაც სპეციალური გემი მიათრევდა (მარონს უფლება არ ჰქონდა ხელით შეხებოდა გალიის კედლებს), მოცურავემ წყალში დაჰყო ზუსტად 36 საათი, მაგრამ ამ დროში დისტანცია ვერ დაამთავრა.

21 წლის მარონი მარათონული ცურვის ვეტერანად ითვლება. მას ეკუთვნის ლა-მანშის გადაცურვის რეკორდი — 17 საათი და 15 წუთი. ამას გარდა, საუკეთესო დრო აქვს ნაჩვენები მანჰეტენის გარშემო ცურვაში. შარშან 24 საათში მარონმა 93,6 კმ გაცურა, რაც ასევე სარეკორდო მაჩვენებელია.

საქართველოს სპორტული მედიცინის და რეაბილიტაციის ცენტრი წარმოგიდგენთ

ვერაგი დაავადება

რადიკულიტის დაავადებისას ხშირად მკურნალობენ შედეგს ანუ ტკივილს და არა მიზეზს

რადიკულიტი საკმაოდ გავრცელებული და ვერაგი დაავადებაა. პირველი შეხვედრა მის აუტანელ მარწუხებთან, თითქმის არასოდეს არ არის უკანასკნელი. რადიკულიტი არც სასიკვდილოა და არც მოურჩენელი — მხოლოდ ეგაა — ძალიან მტკივნეულია და ხანგრძლივად მიმდინარეობს. ყველაზე უფრო 30-50 წლის ადამიანთა ასაკში იჩენს თავს, სწორედ იმ წლებში, როცა ჩვენი შესაძლებლობები სრულად უნდა გამოვლინდეს.

რა არის ამ დაავადების აღმოცენების და ხშირი რეციდივების მიზეზი?

ადამიანის სხეული საყრდენ მამოძრავებელ სისტემას ეყრდნობა. ურთიერთდამოკიდებული და რთული სისტემის ღერძი კი ხერხემალია, რომელიც ერთმანეთზე მძივებივით ასხმული მალებისაგან შედგება. მალებს შორის მოთავსებულია დისკოები. ჯანმრთელ მდგომარეობაში ეს დისკოები არ აძლევენ მალებს ურთიერთშეხების საშუალებას, რათა არ დაზიანდეს ზურგის ტვინის და მათგან გამომავალი ნერვების ფესვები — რადიკულები. დისკოების დაცურება და ცდომა რომ არ მოხდეს, ხერხემალს წინ და უკან გრძელი და ელასტიური იოგები დაუყვებიან. შეგახსენებთ, რომ ყოველი ორგანო მოწოდებულია ფუნქციონირებისათვის და თანაც განსაზღვრულ, ფიზიოლოგიურ ფარგლებში. არავის ეპარება ეჭვი, რომ კუჭი ასტკივდება, თუ ხანგრძლივად არ შეჭამს, ან პირიქით, გადააჭარბებს ზომას. იგივეა საყრდენ-მამოძრავებელი სისტემისთვისაც — იგი ავადდება უმოქმედობით და ზღვრულზე მეტი დატვირთვებითაც. ამ დაავადების ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ნივთიერებათა ცვლის სხვადასხვა მოშლა, ტრავმები, მნიშვნელობა აქვს მემკვიდრეობასაც. ასეთ შემთხვევებში ვითარდება ოსტეოხონდროზი — ქრონიკულად მიმდინარე დაავადება, გამოიხატება მალთაშორისი დისკების გაცვეთასა და გადაგვარებაში. ისინი ვეღარ ასრულებენ ამორტიზატორის ფუნქციას, იკლებენ ზომაში, იცვლიან შედგენილობას და ხშირად უვითარდებათ თიაქარი, რომელიც აწვება უკან მოთავსებულ ნერვის ფესვს, Zadicula-ს (რადიკულა — აქედან რადიკულიტი) იწვევს მის მოჭყლეტას, შეშუპებას და ანთებითი პროცესის განვითარებას. სწორედ ეს არის აუტანელი ტკივილის მიზეზი რადიკულიტის დროს.

წელის არეში რადიკულიტის განვითარების ძირითადი მიზეზია ის, რომ დისკოები, რომლებიც წელის IV-V მალებს ან V მალასა და გავის ძვალს შორისაა, დანარჩენ დისკოებთან შედარებით გაცილებით მეტ დატვირთვას განიცდიან. თუკი ნორმაში ელასტიური და მოქნილი დისკოები დაწოლას აზამბარებენ და თანაზომიერად ანაწილებენ მის ირგვლივმდებარე ქსოვილებზე, ოსტეოხონდროზის დროს მცირედლა თუ აზღვევენ ტრავმისაგან მეზობელ ორგანოებს — მალებს და ნერვულ „ფესვებს“. ამ ცვლილებებს დროთა განმავლობაში დაერთვის მალთა სხეულების აგებულების შეცვლა.

როდესაც ასეთი პროცესები დაწყებულია, ან დაავადება ოსტეოხონდროზი უკვე ჩამოყალიბებულია, რადიკულიტის განვითარებას სულ მცირე რამ ჰყოფნის: დაცემა, უხერხული ნახტომი, მნიშვნელოვანია დაწოლა წელის დისკოებზე ხვლებისა და დაცემინების დროსაც. ყველაზე ხშირი მაპროვოცირებელი მოძრაობაა მოხრილი მდგომარეობიდან ძირს დადებული მძიმე ტვირთის აწევა. თუ ასეთი პოზიდან 10 კგ ტვირთს ასწევთ, გახსოვდეთ, წელის დისკოებზე დატვირთვა 100 კგ-ს უტოლდება.

რადიკულიტის ხელშემწყობი ფაქტორებია ხანგრძლივი მჯდომარე პოზა, მცირე ფიზიკური აქტივობა, გადაადგილებისათვის ძირითადად მანქანის გამოყენება — ბიძგები და რყევები. რაგინდ კარგი ზამბარული სისტემა ჰქონდეს მანქანას, ჩვენს გზებზე ბიძგების მიზეზით რა გამოლევს რისკზე მიდიან აგრეთვე ქალები, რომლებიც მხოლოდ მაღალქუსლიან ფეხსაცმელებს ხმარობენ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ჯდომისა და დგომის ჩვეულ პოზას, ჭარბ წონას.

ზემოთ შევეცადეთ პასუხი გაგვეცა, თუ რატომ აღმოცენდება ხოლმე საერთოდ ეს დაავადება, ხოლო საკითხი, რატომ არის ეს დაავადება ქრონიკული, ვრცელ ახსნას მოითხოვს. ერთ მნიშვნელოვან მომენტს კი მაინც მივაპყრობთ თქვენს ყურადღებას. ნუ იფიქრებთ, რომ რადიკულიტის მკურნალობა ტკივილის გაყუჩებაა მხოლოდ. თუ ამაზე შევჩერდებით, ვუმკურნალებთ დაავადების შედეგს და არა მიზეზს — საყრდენ მამოძრავებელი სისტემის „უკმარისობას“. მალთაშორისი დისკოები გადაგვარებისაგან უნდა დავიცვათ საიმედო, კარგად განვითარებული კუნთურ-იოგური კოსეტით. მკურნალობა ბოლომდე მიყვანილად ჩაითვლება, თუ იგი შედგება შემდეგი ეტაპებისაგან. 1.ტკივილის მოხსნა; 2 ანთებისა და შეშუპების საწინააღმდეგოდ მიმართული ღონისძიებები (მედიკამენტური, ფიზიოთერაპიული და სხვ.); 3. ტრაქციული მკურნალობა — ხერხემლის დაჭიმვა სპეციალური მეთოდებით; 4. სამკურნალო ფიზკულტურა და მასაჟი. სხვადასხვა თერმული საშუალებებით მკურნალობა ანუ მაღალი ტემპერატურის ზემოქმედება საბოლოო ჯამში მავნეა. დროებით ტკივილგამაყუჩებელი ეფექტი ეყრდნობა რეფლექსურად დაჭიმული კუნთის მოდუნებას და „მოფამფალებას“. ხერხემლის გასწვრივ ჩაყოლებული გრძივი იოგებიც ასევე მოეშვებიან და საბოლოოდ დისკური თიაქარი მეტად გამოიბერება და დააწვება რადიკულას. ჯობია ტკივილგამაყუჩებელი საშუალებანი ნევროპათოლოგმა მიგითითოთ.

ახლა გადავიდეთ მკურნალობის ყველაზე უფრო იშვიათად გამოყენებულ იაფ და ხელმისაწვდომ მეთოდზე, სამკურნალო ფიზკულტურაზე. იგი რამოდენიმე ეტაპისაგან შედგება და იმის მიხედვით, თუ რა მდგომარეობაშია ავადმყოფი, სულ სხვადასხვა მიმართულებისაა. დაავადების მწვავე სტადიაში აუცილებელია წოლითი რეჟიმი, ამას სამკურნალო ფიზკულტურის ენაზე ეწოდება „პოზით მკურნალობა“. ამისათვის ლეიბქვეშ ფიცარს ათავსებენ. მუხლებქვეშ შეიძლება ამოვუდოთ მცირე ზომის მუთაქა. იკრძალება ჯდომა საწოლში და მინიმუმამდე დადის მოძრაობაც თუ გადაბრუნებას დააპირებთ, სწრაფად უნდა მოხაროთ ფეხები მუხლებში. დაეყრდნოთ იდაყვებს. მერე მხოლოდ ერთი ხელის იდაყვს და მეორე ხელის გულს და ნელ-ნელა მიიღეთ სასურველი მდგომარეობა. დაავადების ქვემწვავე სტადიაში, როდესაც ტკივილები შემაწუხებელი აღარ არის, ნერვის ანთების ნიშნებიც თითქმის მოხსნილია (რასაც ნევროპათოლოგი იოლად განსაზღვრავს), იწყებენ სამკურნალო ფიზკულტურის პროცედურას, რომელიც მიმართულია წელის გამოზნექისაკენ — ასეთი პოზიცია ანთავისუფლებს მიჭყლეტილ და შეშუპებულ ნერვულ ფესვის მალებს და დისკური თიაქრის ზეწოლისაგან. გთავაზობთ ამ ვარჯიშთა აღწერილობას (წაიკითხეთ ყურადღებით).



სურათზე ისრით ნაჩვენებია გადაგვარებული მალებსშორისი დისკი, რომელიც წელის ნაწილში, IV და V მალებს შორისაა და უკანა მხრიდან აწვება ნერვების ძელის განშტოებას.

კურსი უნდა შედგებოდეს სამკურნალო ფიზკულტურის 30-40 პროცედურისაგან. საწყისი მდგომარეობა (ს.მ.) წოლა ზურგზე.

1. რიგ-რიგობით მოხარეთ მუხლები, 6-10 ჯერ. სუნთქვა თავისუფალი.

2. რიგ-რიგობით მოვიზიდოთ თავი, მხრები, ბეჭები, წელი, თეძოები საწოლის ზედაპირზე (რომელიც გამაგრებულია ფიცრით) და შემდეგ მოვდუნდეთ 7-8 წამით.

3. დავიწყოთ ხელები მუცელზე, ვისუნთქოთ დიაფრაგმის საშუალებით, ანუ მუცლით.

4. მოვხაროთ ფეხები მუხლების სახსარში, ავწიოთ და დაუშვათ მენჯი, 4-5 ჯერ.

5. წამოვწიოთ მხრები და შევასრულოთ გულაღმა „ბრასის“ სტილში ცურვის იმიტაცია, 6-8 ჯერ.

6. რიგ-რიგობით განვიზიდოთ განზე ფეხი და მოვწიოთ ისევ, მხოლოდ არ გავახახუნოთ საწოლზე, 4-6 - ჯერ.

7. გავიწიოთ ხელები წინ, შემდეგ ამოვიდოთ თავქვეშ, ოდნავ წამოვწიოთ კორპუსი, დავუშვათ ს.მ — ში, 5-ჯერ.

8. მივიტანოთ მარცხენა ხელთან მარჯვენა მუხლი, შემდეგ იგივე მოძრაობა შევასრულოთ მარჯვენა და მარცხენა ხელფეხით, 6-8-ჯერ.

როდესაც ეს ვარჯიშები გაგიიოლებენ მდგომარეობას და ჩვეულ მოქნილობას დაიბრუნებთ, შეგიძლიათ ნელ-ნელა და ფრთხილად გადახვიდეთ სამკურნალო ფიზკულტურის II ეტაპზე, რომელიც მიმართულია სწორი ტანდეგობის შენარჩუნებისაკენ და მიზნად ისახავს ზურგის გამშლელი კუნთების განვითარებას. ვარჯიშების ეს სერია უკვე სპეციფიურობით აღარ გამოირჩევა. მასში შედის შვედურ კედელზე შესრულებული ნახევრად კიდურა და შემდეგ უკვე კიდურა ვარჯიშები (მოკლედ, შეგიძლიათ ძელზე ხელებით ჩამოეკიდოთ და შეასრულოთ სხვადასხვა მარტივი მოძრაობანი სხეულის თავისუფალი ნაწილით), ასევე ვარჯიშები, რომლის დროს წელი წინ იქნება გადრეკილი და შეეჩვევა თავის ნორმალურ პოზას — ლორდოზას. შეეცადეთ შეინარჩუნოთ ეს ლორდოზი მთელი ცხოვრების მანძილზე ნებისმიერი საქმიანობისას. თუ მძიმე ტვირთის აწევას დააპირებთ, ჩაჯექით გამართული ზურგით, მოკიდეთ ხელები ტვირთს და ბიცეპსების დაძაბვით მოიზიდეთ იგი, შემდეგ ნელ-ნელა წამოდექით, შეეცადეთ არასოდეს მოიმატოთ წონაში. ყველაფერი ეს ხელს შეგიწყობთ თავიდან აიცილოთ რადიკულიტი.

შეუძლებელია ადამიანმა ისე გან-ვლოს მთელი შეგნებული ცხოვრება რომ სულ საკუთარი ხერხემლის ლოლიავზე იფიქროს. ეს საჭირო არ გახდება, თუ საერთოდ ცხოვრების ჯანსაღ წესს ეწყვით, ანუ რაციონალურ და ზომიერ ფიზიკურ დატვირთვებს თუ თქვენი დღის რეჟიმში ადგილს მიუჩენთ. მოუმზადებელი დიდი დატვირთვები ისევე საზიანოა, როგორც სრული უმოქმედობა. დარწმუნებული ვართ, ჩვენი რჩევები ბევრად შეგიმსუბუქებთ დაავადების მიმდინარეობას და დაგეხმარებათ მის თავიდან აცილებაში.

ფრთხილად, აკრძალულია!

„ლელოს“ 28-ე ნომერში გაგაცანით ის სამედიცინო პრეპარატები, რომელთა მიღება ეკრძალებათ სპორტსმენებს. შეგახსენებთ, დოპინგკონტროლზე ორგანიზმში აკრძალული პრეპარატების აღმოჩენის შემთხვევაში სპორტსმენი მკაცრად ისჯება საერთაშორისო შესაბამისი სპორტული ფედერაციისა და სოკის სამედიცინო კომისიის მიერ.

დღეს ვასრულებთ ამ თემაზე საუბარს.

მედიკამენტთა კლასები, რომლებიც ნაწილობრივ შეზღუდვებს ექვემდებარება,

ა. ალკოჰოლი — საერთაშორისო სპორტულ ფედერაციებთან და პასუხისმგებელ ხელმძღვანელებთან შეთანხმებით ტესტირება შეიძლება ჩატარდეს ეტანოლზე (ethanol). შედეგებმა შესაძლოა სანქციები გამოიწვიოს.

ბ. მარიხუანა — სსფ-სთან და პასუხისმგებელ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით შემოწმება შეიძლება ჩატარდეს კანაბიოიდების (მარიხუანას, ჰაშიშის და ა.შ.) გამოყენებაზე. შედეგებმა შესაძლოა სანქციები გამოიწვიოს.

გ. ადგილობრივი ანესთეზიური საშუალებები — საინექციო ადგილობრივი ანესთეზიის გამოყენება ნებადართულია შემდეგ პირობებში

ა) როდესაც გამოიყენება **bupivacaine, lidocaine, mepivacaine, procaine** და ა.შ. და არა კოკაინი

Vasoconstrictors (მაგ. ადრენალინი) შეიძლება გამოყენებულ იქნას ადგილობრივ ანესთეზიურ საშუალებებთან ერთად.

ბ) შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ადგილობრივი ან შიდა სახსრების ინექციები.

გ) იმ დროს მხოლოდ, როდესაც სამედიცინო დონეზე დასაბუთებული (დიაგნოზის ჩათვლით) დოზა და მიღების საშუალება წარედგინება წერილობით შეჯიბრების წინ და დაუყოვნებლივ შეჯიბრების პერიოდში გამოყენების დროს შესაბამის სამედიცინო ხელმძღვანელობას.

დ) **Covticosteroid**-ების გამოყენება აკრძალულია გარდა შემდეგი შემთხვევებისა: ა) განსაკუთრებულ შემთხვევებში გამოყენებისათვის (მაგ. დერმატოლოგიური, ოფთალმოლოგიური, სმენითი) მაგრამ არა სწორი ნაწლავისათვის. ბ) ინჰალაციით

(შესუნთქვით).

გ) შიდა სახსრის ან ადგილობრივი ინექციით.

სოკ-ის სამედიცინო კომისიამ სავალდებულოდ ჩათვალა მოხსენების წარდგენა იმ სპორტსმენებზე, რომლებსაც ესაჭიროებათ კორტიკოსტეროიდები შეჯიბრების პერიოდში ინჰალაციის გზით.

ნებისმიერმა გუნდის ექიმმა, რომელსაც სურს კორტიკოსტეროიდის გამოყენება სპორტსმენზე ადგილობრივი ან შიდა სახსრის ინექციით ან ინჰალაციით, უნდა გააკეთოს წერილობითი შეტყობინება შესაბამისი სამედიცინო ხელმძღვანელობის წინაშე შეჯიბრების წინ.

უ) ბეტა-ბლოკები. მაგ.: **acebutalol, atenolol, metoprolol, oxprenalol, sotalol, alprenolol, lobetalol, nadolol, propranolol** და შესაბამისი ნივთიერებები.

სსფ-ების წესების შესაბამისად



ტესტირება ჩატარდება ზოგიერთ სახეობაში პასუხისმგებელი ხელმძღვანელობის გადაწყვეტილების მიხედვით

იმ შემთხვევაში, თუ სოკ-ის სამედიცინო კოდექსში არ იქნება შეტანილი მუხლი აღნიშნულთან დაკავშირებით ა, ბ, გ, დ, ე კლასებში გამომჟღავნებული ნებისმიერი რაოდენობის ნივთიერებები შეჯიბრებასთან დაკავშირებით ჩატარებული შემოწმების პროცესში ჩაითვლება დოპინგის საბოლოო (გადამწყვეტ) შემთხვევად. ამ დროს გამოვლენილი ნივთიერების რაოდენობა დოპინგის შემთხვევისათვის არსებითი არ არის.

ეფედრინის, ფსეუდოეფედრინის, ფენილპროპაოლამინის და კეთინის გამოვლენილი არსებობა შეჯიბრებასთან დაკავშირებით ჩატარებული ტესტირების დროს ჩაითვლება დოპინგის **prima facie** შემთხვევად. შესაბამის პიროვნებას საშუალება ექნება უარყოს დოპინგის შემთხვევა, თუ იგი წარადგენს დამამტკიცებელ ჩვენებას, რომელიც იმ დასკვნას გამოატანინებს, რომ დოპინგი არც განზრახული შემთხვევა იყო და არც ზედმეტი დაუდევრობის ან წინდაუხედაობის შედეგი.

ყველა შემთხვევაში, დოპინგის გამოყენებაზე უარყოფის განცხადებისას პასუხისმგებლობა ნივთიერების გამოვლენის დროს, დაეკისრება აღნიშნულ პიროვნებას.

შეჯიბრების გარეშე ტესტირება ტარდება ძირითადად აკრძალულ ნივთიერებებზე გ, დ და ე კლასებში. შეჯიბრების გარეშე ტესტირების მიზნით დადებითი შედეგების გამოვლენა და სოკ-ის სამედიცინო კოდექსის გამოყენება განხორციელდება აკრძალული ნივთიერებების აღნიშნულ კლასებთან და ფარმაკოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ მანიპულაციებთან დაკავშირებით (კლასი II ბ).

ნიმუშთა ვრცელ სიაში შედის სტიმულატორები, ნარკოტიკები, ანაბოლიკები, შარდმდენები, შემნიღბველი აგენტები, პეპტიდური ჰორმონები.

ჩამონათვალის გაცნობა შეიძლება ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში და „ლელოს“ რედაქციაში.

დამნაშავეა ფეხბურთი?

— ოჰ ეს ვაი—ფეხბურთელები! — ერთიანად აღმოხდა პაციენტთა მორიგი მიღებისას ჩემს მეგობარ-ექიმს. — რამდენი ტრავმა და ავადმყოფობა სჭირთ! მათ, ვინც შემთხვევიდან შემთხვევამდე იცმევს ბუცებს.

ჩემი ნაცნობის აზრს ბევრი მისი კოლეგა იზიარებს. მართლაც, უდარდელი გულარხეინობა, დაუფიქრებლობა, რომლითაც ზოგიერთი ფიზკულტურის მოყვარული უდგება ფეხბურთს და მას იყენებს, როგორც გამაჯანსაღებელ საშუალებას. რეგულარული წვრთნის უგულვებელყოფა — აი გულსისხლძარღვთა სისტემის გადატვირთვის, გავა-წელის არეში ხშირი ტკივილისა და ავადმყოფობის მიზეზი.

— მაპატიეთ, მაგრამ, — შემოგვედავება ალბათ ამ პოპულარული თამაშის „თავგამოდებული ქომაგი, — ფეხის ღრძობა, ან რადიკულიტის „აკიდება“, საფეხბურთო მინდვრის გარდა, სხვაგანაც შეიძლება, ამასთან, ტრავმის შემთხვევები, ზედმეტი დატვირთვის შედეგად, სპორტის სხვა სახეობებშიც არის.

სტატისტიკა მოწმობს, რომ მაგალითად, კრივის, ჭიდაობის, სამთოთხილამურების ეროვნული ნაკრების წევრები გაცილებით ნაკლებად შავდებიან თავიანთ ძირითად სახეობაში, ვიდრე ვარჯიშში დიდი ან მინიფეხბურთით „თავშექცევისას“. ამიტომაც ბევრ გამოცდილ მწვრთნელს ფეხბურთი ურჩევნია, ან ჩოგბურთი, სადაც არც შეხლა-შემოხლაა და არც ფეხებში დარტყმა.

ახლა გადავიდეთ მთავარზე, მოძრავი აზარტული თამაშების გავლენაზე იმ ადამიანის გულსისხლძარღვთა სისტემაზე, რომელიც სუსტადაა ნავარჯიშევი ან მთლად ჯანმრთელი არაა რატომ უწოდებენ ვერაგს დატვირთვას, რომელსაც ფეხბურთელები, ხელბურთელები და კალათბურთელები თამაშში იღებენ?

ბურთს გამოდევნებული მოთამაშე ცდილობს დაასწროს მეტოქეს, რა თქმა უნდა, მას ავიწყდება სუნთქვა და გული. ამ დროს, როცა ქინი და ემოცია ხელყოფს მოთამაშეს და წარმოიშვება არათანაბარი დატვირთვა, მას უვნებლად მხოლოდ ჯანმრთელი და ფიზიკურად მომზადებულნი იტანენ.

ამდენად, მომავალი ფეხბურთელის საწვრთნელად უფრო მიზანშეწონილია გამაჯანსაღებელი რბენა, ველოგასეირნება ან ცურვა. ერთი სიტყვით, სპორტის ეს სახეობები, თანაბარი ტემპის მოძრაობით რომ ხასიათდება. ამ მეცადინეობებზე გამოუცდელი ფიზკულტურელიც კი ადვილად აკონტროლებს დატვირთვას, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გრძნობს წვრთნაზე თავს სიჩქარის გაზრდისა და განვლილი მანძილის შედეგად. ათლეტისათვის გადაჭარბებული დატვირთვის ორიენტირს წარმოადგენს მისი სუნთქვა გამოცდილი მორბენლები ტყუილად კი არ ამბობენ, რომ სუნთქვის სიჩუმე და რიტმი გადაადგილების ტემპს არეგულირებსო. მოუმატა სპორტსმენმა ტემპს, გაუჭირდა სუნთქვა, მაშინვე დაუკლო სისწრაფეს და ღრმად და გამოზომილად დაიწყო სუნთქვა. მცირე პაუზის შემდეგ კვლავ უმატა ტემპს. ასე თანდათანობით და საიმედოდ იწვრთნება გულსისხლძარღვთა სუნთქვითი სისტემა.

და მაინც, მთლად ნუ გამოვრიცხავთ ბურთს, სპორტული საგნებიდან რომლითაც გამუდმებით სარგებლობთ. იგი გამოგადგებათ მაგალითად, ფრენბურთის თამაშისათვის (ბადის გარეშე) ან კალათბურთის ერთ-ერთი ელემენტის — კალათში ზუსტი სროლის გამოსამუშავებლად. ეს ვარჯიში თქვენს პარტნიორებთან ერთად კარგ გასართობად იქცევა.

მასალა მომზადა სპორტის ოსტატმა
ვლადიმერ პრეობრაჟენსკიმ.

გვერდის რედაქტორია ექიმი-თერაპევტი ნინო აფაქიძე

წარმოგიდგენთ ფინალისტებს • D ჯგუფი

თურქეთი

- ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1922 წელს.
- ფიფას წევრი 1923 წლიდან.
- სათამაშო ფორმა: მაისურები თეთრ-წითლით გაწყობილი ტრუსები – თეთრი, გეტრები – წითელი – თეთრით გაწყობილი.
- პირველი ოფიციალური მატჩი გამართა იზმირში 1923 წლის 26 ოქტომბერს რუმინეთის ნაკრებთან – 2-2.
- კონტინენტის პირველობაზე მონაწილეობს 1960 წლიდან.

1960 წელი 1/8 ფინალი: რუმინეთთან — 2-0, 0-3.

1964 წ. 1/16 ფინალი. იტალიასთან — 0-1, 0-6.

1968 წ. შესარჩევი ციკლი: ჩეხოსლოვაკიასთან - 0-3, 0-0. ირლანდიასთან — 2-1, 1-2, ესპანეთთან — 0-0, 0-2. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1972 წ. შ.ც.: გფრ-თან — 1-1, 0-3. ალბანეთთან — 2-1, 0-3 პოლონეთთან — 1-0, 1-5 ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1976 წ. შ.ც.: შვეიცარიასთან — 2-1, 1-1. ირლანდიასთან — 1-1, 0-4. სსრკ-სთან — 1-0, 0-3. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1980 წ. შ.ც.: გფრ-თან — 0-0, 0-2. უელსი — 1-0, 0-1. მალტასთან — 2-1, 2-1. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1984 წ. შ.ც.: ალბანეთთან — 1-0, 1-1. ავსტრიასთან — 3-1, 0-4. ჩრ. ირლანდიასთან — 1-0, 1-2. გფრ-სთან — 0-3, 1-5. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1988 წ. შ.ც.: ინგლისთან — 0-0, 0-8. იუგოსლავიასთან — 0-4, 2-3. ჩრ. ირლანდიასთან — 0-0, 0-1. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1992 წ. შ.ც.: ინგლისთან — 0-1, 0-1; ირლანდიასთან — 0-5, 1-3; პოლონეთთან — 0-1, 0-3. ქვეჯგუფში — მეოთხე ადგილი.

1996 წ. შ.ც.: უნგრეთთან — 2-2 (ჰაკანი, ბიულენტი), 2-0 (ჰაკანი — 2), ისლანდიასთან — 5-0 (საფეტი — 2, ჰაკანი — 2, სერგენი), 0-0, შვეიცარიასთან — 1-2 (რეჯეპი), 2-1 (ჰაკანი, ოგუინი). შვედეთთან — 2-1 (ემრე, სერგენი), 2-2 (ჰაკანი, ავტ გოლი). ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

ბოლო შესარჩევ და ფინალურ ტურნირში ჩაატარა 56 მატჩი: მოიგო — 16, ფრედ დაასრულა 12, წააგო 28 შეხვედრა. ბურთების შეფარდება — 49-99.

თურქეთის ნაკრები ინგლისში ასეთი შემადგენლობით ასპარეზობს:

მეკარეები: ადნან ერკანი — 1968 წ. 15 იანვარი. „ანკარა-გიუჯიუ“. 1. სანვერ გიომენი — 1967 წ. 22 იანვარი. „ალთაი“. 2. რუსტე რეჯბერი — 1973 წ. 10 მაისი. „ფენერბახჩე“. 14.

მცველები: რეჯეპ ჩექინი — 1965 წ. 1 ოქტომბერი. „ბეშიქთაში“. 47. ალპაი ოზალანი — 1973 წ. 29 მაისი. „ბეშიქთაში“. 18. ოგიუნი თემიზკანოგლუ — 1969 წ. 6 ოქტომბერი. „ტრაბზონსპორი“. 35. რახიმ ზატერი — 1971 წ. 25 იანვარი. „გენჩლერბირლიგი“. 1. ბიულენტ კირკმაზი — 1968 წ. 24 ნოემბერი. „გალათასარაი“. 45.

ნახევარმცველები ვედატ ინჩეჲ — 1974 წ. 1 აპრილი. „ქარაბუქსპორი“. 1. თუგაი ქერიმოგლუ — 1970 წ. 24 აგვისტო. „გალათასარაი“. 37. ოგიუზ ჩეთინი — 1 1963 წ. 15 თებერვალი. „ფენერბახჩე“. 57. ტაიფუნ კორკუტი. 1974 წ. 2 აპრილი. „ფენერბახჩე“. 2. სერგენ იალჯინი — 1972 წ. 5 ოქტომბერი. „ბეშიქთაში“. 12. აბდულა ერკანი — 1971 8 დეკემბერი. „ტრაბზონსპორი“. 24. ტოლუნაი კაფკასი — 1968 წ. 31 მარტი. „ტრაბზონსპორი.

თავდამსხმელები ერთუგრულ საგლამი — 1969 წ. 19 ნოემბერი. „ბეშიქთაში“. 22. ჰამი მანდირალი — 1968 წ. 20 ივლისი. „ტრაბზონსპორი“. 37. ჰაქან შუქური — 1971 წ. 1 სექტემბერი. „გალათასარაი“. 26. ორხან ჩიქირიქჩი — 1967 წ. 15 მაისი. „ტრაბზონსპორი“. 25. ფარუქ ჯიგითი — 1968 წ. 15 აპრილი. „ქოჯაელისფორი“. 1. საფეტ სანჩაკლი — 1966 წ. 27 თებერვალი. „ქოჯაელისფორი“. 11. არიფ ერდემი — 1972 წ. 2 იანვარი. „გალათასარაი“. 9.

მთავარი მწვრთნელი — **ფატიჰ ტერიმი.**

თურქეთის ეროვნული ნაკრები

თურქეთის ნაკრების გასვლა ევროპის ჩემპიონატის ფინალში, რა თქმა უნდა, დიდი მოულოდნელობა იყო. ამ გუნდს ხომ ადრე რაიმე თვალსაჩინო წარმატება არა ჰქონია. იგი მხოლოდ ერთხელ მონაწილეობდა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში (1954). ახლა კი ნამდვილი სენსაცია მოახდინა. ვინ იფიქრებდა, რომ თურქები მთელი 6 ქულით გაასწრებდნენ მსოფლიოს უკანასკნელი ჩემპიონატის პრიზიორებს — შვედებს და თანაც შვეციის ნაკრების მწვრთნელის, ცნობილ სპეციალისტ ტომი სვენსონის სრულ აღიარებას დაიმსახურებდნენ. აი რა განაცხადა სვენსონმა: „როცა ამ გუნდთან თამაშობ, ძალიან ფრთხილად უნდა იყო. ვინ იფიქრებდა, რომ თურქებს დაცვაში ასეთი წესრიგი და ორგანიზებულობა ექნებოდათ.“

ნაკრების ასეთ წარმატებებს მის ახალ ხელმძღვანელ ფატიჰ ტერიმს (დაიბ. 1953 წ. 4 სექტემბერს) უკავშირებენ. ადრე იგი „ადანადემირსპორსა“ და „გალათასარაიში“ თამაშობდა. ითვლებოდა თურქეთში ყველაზე ძლიერ ლიბეროდ, ნაკრებში ჩატარებული აქვს 51 მატჩი. შემდეგ პროფესიონალი მწვრთნელი გახდა. წვრთნიდა ქვეყნის ახალგაზრდულ და ოლიმპიურ ნაკრებებს, შემდეგ ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის ცნობილი გერმანელი სპეციალისტის ზეპ პიონტეკის თანაშემწე გახდა. უნდა ითქვას, რომ პიონტეკს, რომელმაც ადრე დანიის ნაკრებში დიდი წარმატებები მოიპოვა, თურქეთის ნაკრებში საერთოდ არაფერი გამოუვიდა. ამიტომ მასთან კონტრაქტი აღარ განუახლებიათ და 1993 წელს ნაკრებს სათავეში ფატიჰ ტერიმი ჩაუდგა.

აი, რა განაცხადა ფატიჰ ტერიმმა: „მე რომ ნაკრები ჩავიბარე, თურქეთი საფეხბურთო თვალსაზრისით ევროპის წამყვან ქვეყნებს მკვეთრად ჩამოუვარდებოდა. არა, საქმე ნიჭიერი მოთამაშეების არყოლაში არ იყო. უბრალოდ, ორგანიზაციული საქმეები სრულიად მიტოვებული დამხვდა. საჭირო იყო ყველაფრის „დაგვა“ და დალაგება. მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ერბოკვერცხს ვერ შეწვავ, თუ კვერცხს არ გატეხავ“. ამიტომაც იყო, რომ ბევრ, თითქოსდა შეუცვლელ მოთამაშეს, ნაკრების დატოვება მოუხდა. მათ ნაცვლად გუნდში ნიჭიერი ახალგაზრდები გამოჩნდნენ.

ნაკრების კლასის ამაღლებას იმ გარემოებამაც შეუწყო ხელი, რომ მან ადრინდელ წლებთან შედარებით გაცილებით უფრო ხშირად დაიწყო თამაში. ასე, მაგალითად, 1995 წელს მან მთელი 15 მატჩი ისე ჩაატარა, რომ ერთხელაც არ დამარცხებულა. ეს, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევა იყო.

ნაკრების წარმატებებმა ბევრ სპეციალისტს თურქებზე აზრი შეაცვლევინა. „ადრე ჩვენ გვყავდა გუნდი, რომელიც შინ, საკუთარ მინდორზე მეტოქეებს, ასე თუ ისე, წინააღმდეგობას უწევდა, მაგრამ სტუმრად დიდი ანგარიშით აგებდა ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა — თქვა ფატიჰ ტერიმმა — მე დავარწმუნე ჩემი ბიჭები, რომ იქ უნდა გაიმარჯვო, სადაც ამას მათგან არავინ ელის“. როგორც მწვრთნელმა აღნიშნა, როცა მსოფლიო ან ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში თურქები მარცხს განიცდიდნენ. ფედერაციის ხელმძღვანელობა ამას საკმაოდ მშვიდად ხვდებოდა და იმედს მომავალ შეჯიბრებებზე ამყარებდა, თანაც ისე, რომ რეალურად არაფერი კეთდებოდა. რა საჭიროა იმის ხვალისათვის გადადება, რისი გაკეთებაც დღესვე შეიძლება. როცა მე მთავარ მწვრთნელად მნიშნავდნენ, ოთხწლიანი კონტრაქტი შემომთავაზეს. მე ვთქვი, რომ თუკი ევროპის პირველობის ფინალში ვერ გავიდოდით, მაშინვე გადავდგებოდი.“

ამიტომ ტერიმმა ამჯობინა ორწლიანი ხელშეკრულება დაედო. ეს კონტრაქტი შარშან დამთავრდა, მაგრამ შემდეგ იგი წლევანდელ 30 ივნისამდე გაგრძელდა ერთი სიტყვით, ყველაფერი თურქების ახლანდელ გამოსვლაზეა დამოკიდებული. თუ იგი, ასე თუ ისე, დამაკმაყოფილებლად ჩაითვალა, მაშინ ფატიჰ ტერიმი გუნდს უკვე მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატისათვის მოამზადებს.

ტერიმი ამტკიცებს, რომ საგულდაგულოდ გაეცნო თურქულ კლუბებში მოთამაშე ყველა ფეხბურთელს და იცის ყველა მათგანის შესაძლებლობა. შემდეგ იგი შეეცადა მოლაპარაკებოდა საზღვარგარეთ მოთამაშე თურქ ფეხბურთელებს. ლაპარაკი იყო ისეთ ცნობილ ოსტატზე, როგორიც არის მიუნხენის „ბაიერნის“ ნახევარმცველი მეჰმეთ შოლი, და აგრეთვე მურატ იაკინი ციურიხის „გრასჰოპერსიდან“. ამ მოთამაშეების გადაბირება მწვრთნელმა ვერ მოახერხა. შოლმა გერმანიის მოქალაქობა მიიღო, და, როგორც ცნობილია, ამ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში ინგლისში — ევროპის პირველობაზე გამოდის.

გასაგებია, ინგლისში, უძლიერეს ნაკრებებთან შეხვედრაში თურქებს ძალიან გაუჭირდათ. მაგრამ მათ დაამტკიცეს, რომ ნამდვილად შეუძლიათ ბრძოლა, გუნდის კლასი აშკარად გაიზარდა სასტარტო მატჩი ერთ-ერთ ფავორიტად მიჩნეულ ხორვატებთან თურქებმა მართლაც მეტად შეუპოვრად ჩაატარეს და მხოლოდ თამაშის დამთავრებამდე 5 წუთით ადრე გაუშვეს ერთადერთი გოლი.

ჩემპიონატის ირგვლივ

● **გერმანიის** ფეხბურთის კავშირმა თავისი ნაკრები დააზღვია 33 მილიონ დოლარად. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ფეხბურთელი ტრავმის შედეგად დაასრულებს სპორტულ კარიერას, ნუგეშად მიიღებს 310 ათას დოლარს (შესაბამისად კლუბს გადაეცემა 990 ათასი დოლარი).

● **ფრანგულმა** ტელევიზიის „მეშვიდე არხმა“ დიდსულოვნად გაუწოდა ხელი ტუნისს. ამ ქვეყნის ისტორიაში პირველად ევროპის ჩემპიონატის მატჩებს თვალყურს ადევნებენ ადგილობრივი გულშემატკივრები.

● **კომიკური** ინციდენტი მოხდა დანია-პორტუგალიის მატჩის წინ. დანიის მწრთვნელებს დაავიწყდათ განაცხადში მეკარის გვარის შეტანა. შეცდომა გამოსწორდა ბოლო მომენტში და შმეიხელმა მიიღო თამაშის უფლება.

● **გაზეთ** „მანჩესტერ ივნინგმა“ ჩაატარა რეფერენდუმი: „ვინ არის ევროპის ჩემპიონატის ყველაზე მომხიბლავი ფეხბურთელი?“. პირველ სამეულში ადგილები გაინაწილეს: იურგენ კლინსმანმა (გერმანია), პაოლო მალდინიმ (იტალია) და პაულუ სოუზამ (პორტუგალია).

● **ბულგარეთის** ნაკრების ფინანსურ პრობლემებს მეტნაკლებად აგვარებენ ლეგიონერები... საკუთარ ხარჯზე. ასე მაგალითად, ხრისტო სტოიჩკოვმა დაიქირავა თვითმფრინავი, რათა გუნდი დროულად გადაფრენილიყო ერთი ქალაქიდან მეორეში.

● **გერმანიის** ნაკრების მწვრთნელმა ბერტი ფოგტსმა მკვეთრად შეამცირა მწვრთნელთა საბჭოს შემადგენლობა. ახლა „ბაიერნის“ ფეხბურთელთა ინტერესებს (ნაკრებში ამ კლუბიდან შვიდი კაცია) წარმოადგენს იურგენ კლინსმანი, ბორუსიის ინტერესებს (ხუთი კაცი) — მათიას ზამერი, დანარჩენ ფეხბურთელთა ინტერესებს კი ანდრეას კეპკე.

● **მსოფლიოს** საქმიანი წრეების წარმომადგენლებს მიაჩნიათ, რომ ევროპის ჩემპიონატი, რეკლამის განთავსების თვალსაზრისით, მესამე კომპლექსური ღონისძიებაა ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ. სწორედ ამითაა გამოწვეული, რომ სარეკლამო შემოსავალმა უკვე გადააბიჯა 100 მილიონ დოლარს.

● **გაზეთ** „გარდიენის“ მუსიკალურმა მიმომხილველმა ჯეიმს მაკმილანმა გააანალიზა ჩემპიონატის მონაწილე თექვსმეტივე ქვეყნის ჰიმნი და შეაფასა ისინი ათბალიანი სისტემით. პირველი ადგილი ამ ორიგინალურ კონკურსში დაიკავა გერმანიამ — 9 ქულა. (ჰიმნის ავტორია ფრანც იოზეფ ჰაიდნი). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: ჰოლანდია — 8, ბულგარეთი — 7, რუმინეთი, საფრანგეთი და ხორვატია — 6-6, რუსეთი — 5 და ა.შ. რუსეთის ჰიმნს, რომლის ავტორია მიხეილ გლინკა, შემფასებელმა დაუწუნა ის, რომ არა აქვს სიტყვები. სხვათა შორის, თავისი ქვეყნის ჰიმნი მაკმილანმა მხოლოდ 1 ქულით შეაფასა.

● **ბულგარელებთან** მატჩში რუმინელების მიერ გატანილი ნაღდი გოლი დანიელმა არბიტრმა პეტერ მიკელსენმა არ ჩათვალა, რასაც დაზარალებული მხარის დაგვიანებული პროტესტი მოჰყვა. უეფა-ს წარმომადგენელმა მსაჯის ამ შეცდომას კიდევ ერთი შეცდომაც დაამატა (ყვითელი ბარათი ცვეტანოვის ნაცვლად უდანაშაულო ბარიმიროვს აჩვენა), მაგრამ განმარტა, რომ საქმეს მაინც არაფერი ეშველებაო. ერთადერთი, რასაც შეიძლება მიაღწიონ რუმინელებმა, მსაჯის დასჯაა, მაგრამ ამას ისედაც აპირებს უეფა.

● **ევრო-96-ის** მსაჯები წარმატებით იყენებენ ერთ ელექტრონულ სიახლეს: მთავარი არბიტრი მაჯაზე წამოცმული ბრასლეტით ელექტროსიგნალს იღებს გვერდითი მსაჯისაგან იმ შეცდომის შესახებ, რომელიც რაღაც მიზეზით გამორჩა მას. ამ სისტემამ წარმატებით გაიარა გამოცდა შვეციის ეროვნულ ჩემპიონატში.

● **საფრანგეთ-რუმინეთის** მატჩში საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებულმა ჯორკაეფმა პრემიის სახით მიღებული 5200 ფრანკი გადარიცხა სომხეთის დახმარების ფონდში, ადრე ჯორკაეფმა, რომლის წინაპრები სომხები იყვნენ, შესარჩევ მატჩებში მიღებული პრემიაც (5000 ფრანკი) იმავე ფონდს გადასცა.

● **შოტლანდიის** ნაკრები ერთადერთი გუნდია ამ ჩემპიონატზე, რომლის ფეხბურთელებს ოფიციალურად აქვთ ნებადართული ალკოჰოლის მიღება. ეს კი არა, ექიმი დაჟინებით ურჩევს ფეხბურთელებს დღეში ოთხი კათხა ლუდის დალევას. ეს, მისი აზრით, აწესრიგებს ემოციურ ტონუსს.

● **ყოველი** მატჩის შემდეგ სპეციალური ჟიური ავლენს საუკეთესო მოთამაშეს, რომელიც ფულადი თანხით — 650 გირვანქა სტერლინგით ჯილდოვდება. თანხა, რა თქმა უნდა, დიდი არ არის, მაგრამ ასეთი პრიზის მიღება ფრიად საპატიოდ ითვლება. იგი ორჯერ — ესპანელებთან და რუმინელებთან თამაშის შემდეგ — დაიმსახურა ხრისტო სტოიჩკოვმა (ბულგარეთი), დანიელებთან საუკეთესო თამაშისათვის აღინიშნა დავორ შუკერი (ხორვატია), ხოლო რუსეთთან თავის გამოჩენისათვის დაჯილდოვდა პიერ-ლუიჯი კაზირაგი (იტალია).

● **ბრძელდება** დისკუსია იმის შესახებ, ღირდა თუ არა ევროპის ჩემპიონატის ფინალისტების რიცხვის გაზრდა 8-დან 16-მდე. მიმომხილველთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ეს სწორი გადაწყვეტილება არ იყო, ამით უინტერესო, უფერული მატჩების რიცხვი გაიზარდა. მაშინ, როცა ფინალში 8 მონაწილე იყო, უკვე შეჯიბრების დებულება მონაწილეებს ავალდებულებდა უკომპრომისოდ ებრძოლათ, ახლა კი იმატა პრაქტიციზმმა და ფრთხილმა თამაშმა.

● **ხორვატებს** გამოაკლდათ ერთ-ერთი წამყვანი თავდამსხმელი ალან ბოკშიჩი, რომლის ტრავმა თურქებთან შეხვედრაში სერიოზული აღმოჩნდა.

● **რუსეთის** ნაკრებმა, რომელიც ორი მარცხის მიუხედავად მაინც ინარჩუნებს მეოთხედფინალში გასვლის თეორიულ შესაძლებლობებს, რაც, თავისთავად, მეტად იშვიათ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა. ჩეხებთან მატჩში ვერ ითამაშებს ვერც გერმანელებთან მინდვრიდან გაძევებული მარცხენა მცველი კოვტუნი და ვერც გუნდის კაპიტანი ონოპკო, რომელსაც ორი გაფრთხილება აქვს.

ჩემპიონატის ირგვლივ

წარმოგიდგენთ ფინალისტებს • D ჯგუფი

UEFA EURO 96 England

პორტუგალია

- ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია შეიქმნა 1912 წელს.
- ფიფას წევრია 1914 წლიდან.
- სათამაშო ფორმა: მაისურები – შინდის ან თეთრი ფერის, ტრუსები – ლურჯი, გეტრები – შინდის ფერი – ლურჯით გაწყობილი ან ლურჯი.
- პირველი ოფიციალური მატჩი გამართა მადრიდში 1921 წლის 18 დეკემბერს ესპანეთის ნაკრებთან – 1-3.
- კონტინენტის პირველობაში მონაწილეობს 1960 წლიდან.

1960 წელი. 1/8 ფინალი: გდრ-სთან 3-2, 2-0.

1/4 ფინალი: იუგოსლავიასთან — 1-5, 2-1.

1964 წ. შესარჩევი ციკლი: ბულგარეთთან — 3-1, 1-3. დ.მ. — 0-1

1968 წ. შ.ც.: შვედეთთან — 1-2, 1-1, ნორვეგიასთან — 2-1, 2-1, ბულგარეთთან — 0-1. 0-0. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1972 წ. შ.ც.: დანიასთან — 5-0, 1-0. ბელგიასთან — 0-2, 1-1. შოტლანდიასთან — 2-0, 1-2. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1976 წ. შ.ც.: კვიპროსთან — 2-0, 1-0, ინგლისთან — 0-0, 1-1. ჩეხოსლოვაკიასთან — 0-5, 1-1. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1980 წ. შ.ც.: ბელგიასთან — 0-2, 1-1. ავსტრიასთან — 2-1, 1-2, შოტლანდიასთან — 1-0, 1-4. ნორვეგიასთან — 1-0, 3-1. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1984 წ. შ.ც. პოლონეთთან — 2-1, 1-0. სსრკ-სთან — 0-5, 1-0. ფინეთთან — 2-0, 5-0.

ფინალური ციკლი: გფრ-სთან — 0-0, ესპანეთთან — 1-1, რუმინეთთან — 1-0, ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

ნახევარფინალი: საფრანგეთთან — 2-3 დ.დ. (ჟორდაო — 2); — ბენტუ, ჟოაო, პინტუ, ლიმა პერეირა, ეურიკუ, ალვარუ, სოუზა (ნენე), დიამანტინუ (გომეში), პაშკუ შალანა, ფრაშკუ, ჟორდაო.

1988 წ. შ.ც.: შვედეთთან — 1-1, 1-0, შვეიცარიასთან — 1-1, 0-0. იტალიასთან — 0-1, 0-3. მალტასთან — 2-2, 1-0. ქვეჯგუფში — მესამე ადგილი.

1992 წ. შ.ც.: ჰოლანდიასთან — 1-0, 0-1. საბერძნეთთან — 1-0, 2-3. ფინეთთან — 1-0, 0-0. მალტასთან — 1-0, 5-0. ქვეჯგუფში — მეორე ადგილი.

1996 წ. შ.ც.: ჩრდ. ირლანდიასთან — 2-1 (რუი კოშტა, დომინგუში), 1-1 (დომინგუში) ლატვიასთან — 3-1 (ჟოაო ვ. პინტუ — 2, ფიგუ), 3-2 (ფიგუ, სეკრეტარიუ, დომინგუში), ავსტრიასთან — 1-0 (ფიგუ), 1-1 (პაულინიუ სანტუში). ლიხტენშტეინთან — 8-0 (დომინგუში — 2, ოსვანუ, ჟოაო ვ. პინტუ, ფ. კოუტუ, ფოლია, პაულუ ალვეში — 2), 7-0 (დომინგუში, პაულინიუ სანტუში, რუი კოშტა — 2, პაულუ ალვეში — 3), ირლანდიასთან — 0-1, 3-0 (რუი კოშტა, ჰელდერი, კადეტე). ქვეჯგუფში — პირველი ადგილი.

სულ შესარჩევ და ფინალურ ტურნირში ჩაატარა 68 მატჩი: მოიგო — 35, ფრედ დაასრულა 15, წააგო 18 შეხვედრა. ბურთების შეფარდება — 103-70.

პორტუგალიელთა შემადგენლობა ინგლისში ასეთია:

მეკარეები: ვიტორ ბაია — 1969 წ. 15 ოქტომბერი. „პორტუ" 41. ალფრედუ კაშტრიუ — 1962 წ. 5 ოქტომბერი. „ბოავიშტა". 0. რუი კორეია — 1967 წ. 22 ოქტომბერი. „ბრაგა". 1.

მცველები: კარლუშ სეკრეტარიუ — 1970 წ. 12 მაისი. „პორტო". 13. ფერნანდუ კოუტუ — 1969 წ. 2 აგვისტო. „პარმა" იტალია. 32. დიმაშ ტეიშეირა — 1969 წ. 16 თებერვალი. „ბენფიკა". 6. ჰელდერ კრისტოვაო — 1971 წ. 21 მარტი. „ბენფიკა". 18. პაულუ მადეირა — 1970 წ. 6 სექტემბერი. „ბელენენსეში". 12.

ნახევარმცველები: პაულინიუ სანტუში — 1970 წ. 21 ნოემბერი. „პორტო". 12. ოსვანუ კრუჟი — 1962 წ. 29 ივლისი. „სპორტინგი" ლისაბონი. 40. ჟოზე ტავარეში — 1966 წ. 23 აპრილი. „ბოავიშტა". 1. ვიტორ პანეირა — 1966 წ. 16 თებერვალი. „გიმარაიში". 44. რუი კოშტა — 1972 წ. 29 მარტი. „ფიორენტინა" იტალია. 21. პაულუ სოუზა — 1970 წ. 3 აგვისტო. „იუვენტუსი" იტალია. 24. ლუიშ ფიგუ — 1972 წ. 4 ნოემბერი. „ბარსელონა" ესპანეთი. 27.

თავდამსხმელები: ჟოაო ვიეირა პინტუ — 1971 წ. 19 აგვისტო. „ბენფიკა". 34. რიკარდუსა პინტუ — 1972 წ. 10 ოქტომბერი. „სპორტინგი" ლისაბონი. 10. ჟორჟე კადეტე — 1968 წ. 27 აგვისტო. „სელტიკი" შოტლანდია. 23. ალდრუ ბარბოზა — 1970 წ. 6 აგვისტო. „სპორტინგი" ლისაბონი. 9. დომინგუშ ოლივეირა — 1969 წ. 2 იანვარი. „პორტუ". 27. უგო პორფირიუ — 1973 წ. 28 სექტემბერი. „ლეირია". 1. ანტონიუ ფოლია — 1971 წ. 21 მაისი. „პორტო". 19.

მთავარი მწვრთნელი: ანტონიუ ტეიშეირა.

პორტუგალიის ეროვნული ნაკრები

პორტუგალიის ნაკრებს საერთაშორისო ასპარეზზე კარგა ხანია რაიმე მნიშვნელოვანი მიღწევა არა ჰქონია. ისე კი სიამოვნებით იგონებენ ზუსტად 30 წლის წინათ ინგლისში (ინგლისში!) მოპოვებულ დიდ წარმატებას, როცა ქვეყნის ნაკრებმა მსოფლიო ფეხბურთის იმდროინდელი ვარსკვლავის — ეუსებიოს ბრწყინვალე თამაშის წყალობით მასპინძლებისა და გერმანელების შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. ასეთი ტრიუმფი მსოფლიო ჩემპიონატებში პორტუგალიელებს არასოდეს ჰქონიათ. რაც შეეხება ევროპის ჩემპიონატებს, აქ პორტუგალიელებს მხოლოდ 1984 წელი თუ დაამახსოვრდა, როცა ასევე მესამე ადგილზე გამოვიდნენ.

და აი ამდენი ხნის შესვენების შემდეგ პორტუგალიის ნაკრებს ახალი წარმატებები აქვს. ამას ახალი მწვრთნელის სახელს უკავშირებენ. ანტონიო ტეიშეირა ანუ უბრალოდ, ტონი. თამაშობდა „პორტუში", „ბანფელსა" და ლისაბონის „სპორტინგში" იყო ცნობილი მოიერიშე ნახევარმცველი, პორტუგალიის ჩემპიონატების 228 მატჩში გაიტანა 107 გოლი. ერთხანს თამაშობდა ესპანეთში სევილიის „ბეტისში" 1985 წლიდან კი პროფესიონალი მწვრთნელია. საინტერესოა, რომ არასოდეს უმუშავია პორტუგალიის არც ერთ დიდ კლუბში — არც „ბენფიკაში", არც „პორტუს" და ლისაბონის „სპორტინგში", ისე ჩაიბარა 1994 წლის დეკემბერში პორტუგალიის ნაკრები.

უნდა ითქვას, რომ ტონიმ წარმატებით გადაჭრა პირველივე ამოცანა — გუნდს ევროპის პირველობის საგზური მოუპოვა, თუმცა სერიოზული მეტოქეები ჰყავდა ირლანდიის, ჩრდ. ირლანდიისა და ავსტრიის ნაკრებების სახით. მწვრთნელმა მოიწვია ყველა ცნობილი ლეგიონერი: ფერნანდო კოიტუ „პარმიდან", რუი კოშტა — „ფიორენტინიდან", პაულო სოუზა — „იუვენტუსიდან" ლუიშ ფიგუ „ბარსელონადან". ერთხანს ტონი იმედს ამყარებდა ამ ახლო წარსულში განთქმულ გარემარბ პაულო ფუტრეზე, რომელიც, მართალია, „მილანში" გამოდის, მაგრამ, რომ იტყვიან, ათასში ერთხელ უხდება თამაში. როგორც გამოირკვა, ამ ფეხბურთელმა, რომელსაც ადრე მარადონასაც კი ადარებდნენ, ახლა აშკარად „უკლო" და ამიტომ ველარ მოხვდა იმ 22 ფეხბურთელის რიცხვში, რომლებიც ინგლისში გაემგზავრნენ.

იმ სამ მეკარეს შორის, რომელიც ტონიმ შეარჩია, მან აშკარა უპირატესობა ვიტორ მარტინშ ბაიას მიანიჭა. საინტერესოა, რომ 10 შესარჩევი თამაშიდან ეს მეკარე თამაშობდა ცხრაში, მეტად საიმედოდ მოქმედებს და ახლა „პორტუდან", სადაც იგი გამოდის არაერთი საზღვარგარეთული კლუბი ეპატიჟება. დაცვა თითქმის მთლიანად „პორტუს" (წლეულს ბობი რიბსონის ხელმძღვანელობით პორტუგალიის ჩემპიონი გახდა) მოთამაშეებისაგან შედგება. ამ ხაზის წამყვანი მოთამაშე ფერნანდო კოუტუც „პარმაში" გადასვლამდე სწორედ „პორტუში" გამოდიოდა. გუნდის უძლიერეს რგოლად მწვრთნელი მაინც შუა ხაზს თვლის, რომელიც ძირითადად ლეგიონერებისაგან არის შედგენილი (პაულუ სოუზა, რუი კოშტა, ლუიშ ფიგუ). პაულუ სოუზას დიდი წარმატებები ჰქონდა ჩემპიონთა ლიგაში — იგი ხომ „იუვენტუსის" მოთამაშეა. რუი კოშტა ჩინებულად მოქმედებდა „ფიორენტინაში", სადაც იგი კარგად იყო შეთამაშებული გაბრიელ ბატისტუტასთან, ხოლო ფიგუმ თავი გამოიჩინა გადახალისებულ „ბარსელონაში". რაც შეეხება თავდასხმას, აქ ტონის ჰყავს დომინგუში („პორტუ"), მისი თანაგუნდელი ანტონიუ ფოლია ჟოაო პინტუ „ბენფიკა", ჟორჟე პაულო კადეტე, რომელიც ახლა შოტლანდიის „სელტიკში" გამოდის და რიკარდუ სა პანტუ ლისაბონის „სპორტინგიდან"

ტონი აცხადებდა, რომ მთავარ იმედს ამ ჩემპიონატში ახალგაზრდებზე ამყარებდა, სწორედ იმ ფეხბურთელებზე, რომლებმაც 1991 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს იუნიორებს შორის. სწორედ ამიტომ იყო, რომ მან უარი განაცხადა არა მარტო ფუტრეზე, არამედ ცნობილ ნახევარმცველ რუი ბარუშზეც, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინ დიდი წარმატებით თამაშობდა იტალიისა და საფრანგეთის კლუბებში. ტონი შეტევითი თამაშის მომხრეა, მეტოქეებს სწორედ ტემპსა და შემართებას უპირისპირებს, ბედს, რომ იტყვიან, მოწინაალმდეგის კარებთან ეძებს.

ხორვატია

- ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია შეიქმნა 1991 წელს.
- ფიფას წევრია 1992 წლიდან.
- სათამაშო ფორმა: მაისურები – თეთრ-წითელი კვადრატებით გაწყობილი, ტრუსები თეთრი, გეტრები – წითელი – შავ-თეთრი.
- კონტინენტის პირველობის დებიუტანტი.

1996 წლის შესარჩევ ციკლში: ესტონეთთან — 2-0 (შუკერი — 2), 7-1 (მლადენოვიჩი, შუკერი — 3, ბოქშიჩი, ბობანი, შტიმაცი), ლიტვა — 2-0 (იერკანი, კოზნიკუ), 0-0. იტალია — 2-1 (შუკერი —2), 1-1 (შუკერი). უკრაინა — 4-0 (ბობანი, შუკერი — 2, პროსინეჩკი), 0-1. სლოვენია — 2-0 (პროსინეჩკი, შუკერი), 2-1 (შუკერი, იურჩევიჩი).

შესარჩევ ციკლში ჩაატარა 10 მატჩი, მოიგო — 7, ფრედ დაასრულეა 2, წააგო 1 შეხვედრა. ბურთების შეფარდება 22-5,

ხორვატების მწვრთნელის მიროსლავ ბლაჟევიჩის ნაკრების 22 ფეხბურთელი ასე გამოიყურება:

მეკარეები: დრაჟენ ლადიჩი — 1963 წ. 1 იანვარი. „კროაცა". 22. მარიან მიმიჩი — 1965 წ. 6 მაისი. „ვარტექსი". 4. ტონჩი გაბრიჩი — 1961 წ. 11 ნოემბერი. „ჰაიდუკი" 7.

მცველები: რობერტ იარინი — 1968 წ. 26 ოქტომბერი. „ბეტისი" ესპანეთი. 19. იგორ შტიმაცი — 1967 წ. 6 სექტემბერი. „დერბი ქაუნთი" ინგლისი. 16. ნიკოლა იერკანი — 1964 წ. 8 დეკემბერი. „ოვიედო" ესპანეთი. 20. სლავენ ბილიჩი — 1968 წ. 11 სექტემბერი „ვესტ ჰემი" ინგლისი. 20. ზვონიმირ სოლდო — 1967 წ. 2 ნოემბერი. „კროაცია". 10. დუბრავკო პავლიჩიჩი — 1967 წ. 28 ნოემბერი. „ერკულესი" ესპანეთი. 16. ელვის ბრაიკოვიჩი — 1969 წ. 12 ივნისი. „მიუნხენი — 1860" გერმანია. 6. დარიო შიმიჩი — 1975 წ. 12 ნოემბერი. „კროაცია". 1.

ნახევარმცველები: ნიკოლა იურჩევიჩი — 1966 წ. 14 სექტემბერი. „ფრაიბურგი" გერმანია. 13. ალეშა ასანოვიჩი — 1965 წ. 14 დეკემბერი. „ვალოდოლიდი" ესპანეთი. 18. რობერტ პროსინეჩკი — 1969 წ. 12 იანვარი. „ბარსელონა" ესპანეთი. 13. ზვონიმირ ბობანი — 1968 წ. 8 ოქტომბერი. „მილანი" იტალია. 16. მარიო სტანიჩი — 1972 წ. 10 აპრილი. „ბრიუგე" ბელგია. 7. მლადენ მლადენოვიჩი — 1964 წ. 13 სექტემბერი. „გამბა ოსაკა" იაპონია. 16.

თავდამსხმელები: დავორ შუკერი — 1968 წ. 1 იანვარი. „სევილია" ესპანეთი. 18. ალენ ბოქშიჩი — 1970 წ. 21 იანვარი. „ლაციო" იტალია. 12. იგორ პამიჩი — 1969 წ. 19 ნოემბერი. „ოსიეკი". 2. გორან ვლაოვიჩი — 1972 წ. 7 აგვისტო. „პადოვა" იტალია. 7. იგორ ცვიტანოვიჩი — 1970 წ. 1 ნოემბერი. „კროაცია". 10.

1992 წლის ევროპის ჩემპიონატში ერთიანი იუგოსლავიის ნაკრებს უნდა ეთამაშა, რომელსაც ივიცა ოსიმი წვრთნიდა. იმის გამო, რომ ეს სახელმწიფო დაიშალა, ნაკრები შვეციაში არ დაუშვეს და იგი დაიშალა კიდეც. მოხდა ისე, რომ მისი ბირთვი ახლად ჩამოყალიბებულ ხორვატიის ნაკრებში აღმოჩნდა. სწორედ მას უნდა ჰქონოდა დებიუტი ევროპის მომდევნო პირველობის შესარჩევ ჯგუფში.

გუნდს თავიდანვე ორი სპეციალისტი ჩაუდგა სათავეში. მიროსლავ ბლაჟევიჩი ერთდროულად ზაგრების „კროაციის" მფლობელი, პრეზიდენტი და მწვრთნელია. ადრე იგი „სარაევოში", „რიკასა" და შვეიცარიის „სიონში" თამაშობდა, სადაც უმძიმესი ტრავმა მიიღო და იძულებული გახდა შეეწყვიტა ფეხბურთელის კარიერა. შემდეგ წვრთნიდა იგივე „სიონს", შვეიცარიის „ლოზანას", „ნანტს" (საფრანგეთი), „კროაციას" (ასე დაერქვა ზაგრების „დინამოს"). კიდევ უფრო დიდი სახელი აქვს ფეხბურთის სამყაროში ტომისლავ ივიჩს, რომელიც ორ წელიწადს ეხმარებოდა ბლაჟევიჩს. საკმარისია აღინიშნოს, რომ წლების განმავლობაში იგი წარმატებით წვრთნიდა სპლიტის „ჰაიდუკს", ზაგრების „დინამოს", მუშაობდა ამსტერდამის „აიაქსსა", ბრიუსელის „ანდერლეხტსა" და ათენის „პანათინაიკოსში", აგრეთვე სტამბოლის „გალათასარაიში" ფრანგულ „მონაკოსა" და „პარი სენ-ჟერმენში", პორტუგალიურ „ბენფიკასა" და „პორტუში". ახლა ივიჩი არაბთა გაერთიანებული საემიროების ნაკრებს ჩაუდგა სათავეში. ჟურნალისტებს უკვირდათ, როგორ გამონახეს ამდენ ხანს საერთო ენა ბლაჟევიჩმა და ივიჩმა, რომლებსაც თავის ნათქვამი, მკაცრი და ჯიუტი სპეციალისტების რეპუტაცია აქვთ.

რა თქმა უნდა, სპეციალისტები ფიქრობდნენ, რომ ხორვატებს ფინალში გასვლის კარგი შესაძლებლობები ექნებოდათ, მაგრამ მათმა გამოსვლამ ევროპის ჩემპიონატზე მაინც მოლოდინს გადააჭარბა. აი რამდენიმე აზრი, რომელიც ჩემპიონატის დაწყებამდე გამოითქვა: ბლაჟევიჩი კმაყოფილი იყო, რომ მისი გუნდი საწყის სტადიაზე ასცდა ისეთ მეტოქეებს, როგორნიც არიან ესპანეთი, გერმანია და ინგლისი. დანიელების მწვრთნელმა რიხარდ მელერ-ნილსენმა ისინი ჯგუფის ფავორიტად აღიარა, ზოგმა კი ისიც თქვა, რომ ისინი საბოლოოდ შეიძლება საპრიზო ადგილზეც კი გამოსულიყვნენ.

ხორვატების 22 მოთამაშიდან 14 ლეგიონერია და საუკეთესო მომზადება გაიარა ესპანეთის, გერმანიის, იტალიისა და ინგლისის ლიგებში. რაც შეეხება ხორვატიის ლიგას, აქ ბლაჟევიჩი ყველაზე მეტად საკუთარ „კროაციას" ენდო.

იმ სამ მეკარეს შორის, რომელიც ბლაჟევიჩმა წაიყვანა ინგლისში, იგი უპირატესობას 33 წლის დრაჟენ ლადიჩს ანიჭებდა. ლადიჩი, თუმცა თავისი ქვეყნის საზღვრებს გარეთ აქამდე მაინცდამაინც არ იყო ცნობილი, საიმედოდ თამაშობდა „კროაციაში" და ეროვნულ ნაკრებშიც თითქმის შეუცვლელი იყო. დაცვა, სადაც უძლიერეს ოთხეულად მიჩნეულია სლავენ ბილიჩი — ნიკოლა ერვანი — იგორ შტიმაცი — რობერტ იარნი, მთლიანად ლეგიონერებისაგან შედგება. იგი კარგად გამოიყურებოდა ჩემპიონატის პირველ მატჩებში. შეიძლება ეს მცველები ევროპული მასშტაბით არ არიან მაინცდამაინც ცნობილნი, მაგრამ კარგად შეთამაშებულ რგოლს შეადგენენ.

ხორვატიის ნაკრებში უძლიერესად ტრადიციულად შუა ხაზი ითვლება. რობერტ პროსინეჩკი — თავის დროზე შესანიშნავად თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონატში ახალგაზრდათა შორის, შემდეგ მსოფლიო ჩემპიონატში იტალიაში. იგი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში" გამოდიოდა, როცა ეს გუნდი ევროპის ჩემპიონთა თასს დაეუფლა. შემდეგ კარგა ხანს თამაშობდა მადრიდის „რეალში", ერთხანს „ოვიედოში", ახლა კი „ბარსელონაში" გამოდის. ზვონიმირ ბობანი — დიდხანს იყო „მილანის" მწვრთნელ ფაბიო კაპელოს საყვარელი ფეხბურთელი. ახლა, როცა კაპელო მადრიდის „რეალში" გადავიდა, ეტყობა, ბობანიც დატოვებს „მილანს".

თავდასხმაში ბლაჟევიჩი ყოველთვის უპირატესობას ანიჭებდა ბოკშიჩ — შუკერის ფრიად სახიფათო დუეტს. ალენ ბოკშიჩი — თავის დროზე წარმატებით გამოდიოდა მარსელის „ოლიმპიკში", შემდეგ „ლაციოში", სადაც კაზირაგისთან ერთად მრისხანე დუეტი შექმნა. ახლა ტურინის „იუვენტუსში" გადავიდა, სადაც ჯანლუკა ვიალი შეცვალა. დავორ შუკერი — დიდი წარმატებით თამაშობდა „სევილიაში", ამასთან სპეციალისტები თვლიდნენ, რომ ასეთ ბრწყინვალე ოსტატს უფრო მაღალი კლასის კლუბი შეეფერებოდა. ეს აზრი გამართლდა კიდეც — შუკერი მადრიდის „რეალმა" მიიწვია. ბოკშიჩისა და შუკერის გარდა, ხორვატებს კიდევ ჰყავთ ჩინებული თავდამსხმელები. თურქებთან მატჩში, მაგალითად, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა შეცვლაზე შემოსულმა გორან ვლაოვიჩმა, რომელიც იტალიურ „პადოვაში" გამოდის. მან ორი რეიდი განახორციელა.. გვერდი აუარა რამდენიმე თურქ მცველს და ზუსტი დარტყმით თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

ხორვატიის ნაკრებმა მთელი თავისი შესაძლებლობები უჩვენა ევროპის ჩემპიონებთან — დანიელებთან მატჩში, როდესაც მეტოქეებს ნამდვილი ნოკაუტი გაუკეთა — 3:0.

ხორვატიის ეროვნული ნაკრები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო პირველობა ჭადრაკში ● კარპოვი — კამსკი

მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვა

როგორც ელისტის მატჩზე დამსწრე მრავალრიცხოვანი მიმომხილველები აღნიშნავენ, ამჟამად ერთმანეთს ხვდება, ალბათ ჭადრაკის სამყაროში ორი ყველაზე უფრო შეუპოვარი დიდოსტატი.

კარპოვის განსაკუთრებული შეუპოვრობა კარგად არის ცნობილი, იგი თითქოს არ განიცდის წაგებას, მეორე დღესვე განახლებული ძალით თამაშობს. ამ მხრივ კამსკი მაინც სრულიად განსაკუთრებულია. მას შეუძლია რამდენიმე პარტია წააგოს, და, ვითომც აქ არაფერიაო, ისე გააგრძელოს ბრძოლა. ამიტომაც არის, რომ გატა კამსკიმ საჭადრაკო რობოტის სახელი დაიმკვიდრა. სამაგიეროდ, შვილის თითოეულ მარცხს ძლიერ განიცდის რუსტემ კამსკი, რომელიც მას ათას რამეში ადანაშაულებს, მაგრამ გატა წარბსაც არ იხრის. მას სჯერა, რომ შეუპოვარი თამაში კარპოვს, რომელიც კამსკიზე ორჯერ უფროსია, ბოლოს და ბოლოს დაღლის (როგორც ეს გარი კასპაროვთან ზოგიერთ მატჩშიც შეიმჩნეოდა), შემდეგ კი კამსკის დრო დადგება.

როცა მეხუთე პარტია ჩემპიონმა კვლავ ლაზიერის წინა პაიკით დაიწყო, რომელმაც მას პირველ პარტიაში წარმატება მოუტანა, კამსკიმ ამას გრიუნფელდის დაცვით უპასუხა. თუ ამ ადრინდელ შეხვედრაში გრიუნფელდის დაცვამ არ გაამართლა, ამჯერად პრეტენდენტმა შეცვალა სადებიუტო სქემა. ერთხანს ჩემპიონის პოზიცია მაინც უკეთესი იყო, მაგრამ კამსკიმ შეძლო მდგომარეობის გათანაბრება და 24-ე სვლაზე შეხვედრა ყაიმით დასრულდა, მეექვსე პარტია შავებით მოთამაშე კარპოვმა მოიგო და ანგარიში გახდა 4:2 მისსავე სასარგებლოდ.

გივი მუხაძე

ქართველ ვეტერან მოკრივეთა რიგებს 61 წლისა გამოაკლდა სპორტის ოსტატი გივი მუხაძე. იგი ჭაბუკთა იმ „ტალღას“ მოჰყვა ორმოცდაათიან წლებში შესანიშნავმა აღმზრდელმა გიორგი ჯანაშიამ ქართულ სკოლებში, კერძოდ თბილისის მე-8 ვაჟთაში რომ აღმოაჩინა. მწვრთნელის უტყუარმა ალღომ „დიდ რინგზე“ გზა დაულოცა ნიჭიერ მოკრივეთა თაობას, შემდგომში საკავშირო პირველობების პრიზიორებს ლერი ანდღულაძეს, ნოდარ ქიქავას, ვლადიმერ სილაგაძეს, კოკა მუჯირსა და სხვებს. მათ შორის სპორტის ოსტატ გ. მუხაძეს. იგი იყო სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადების მონაწილე და სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ჭაბუკთა შორის, საპატიო გამარჯვებები ჰქონდა მოპოვებული საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრებთან შეხვედრებში.

1958 წელს დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი, მაგრამ კრივთან კავშირი არ გაუწყვეტია. დოცენტი გ. მუხაძე აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოსა და თბილისის კრივის ფედერაციებში, სადაც სათავეში ედგა ამ ფედერაციათა სამედიცინო კომისიებს.

ქირურგი გ. მუხაძე კეთილსინდისიერად ემსახურებოდა საქართველოს მოკრივეთა ნაკრებს ხალხთა სპარტაკიადების თუ სხვა საკავშირო შეჯიბრებების დღეებში და დიდ დახმარებას უწევდა ჩვენს სპორტსმენებს.

კარგი სპეციალისტისა და მეგობრის სახელი დიდხანს დარჩება მათ შორის, ვისაც მასთან ურთიერთობა ჰქონია.

საქართველოსა და თბილისის კრივის ფედერაციები

პროფესიულ რინგზე

● **მსოფლიოს** ექსჩემპიონი მძიმე წონაში რიდიკ ბოუ ფიქრობს, რომ მისი კოლეგა და მეგობარი ევანდერ ჰოლიფილდი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეხვდეს მაიკ ტაისონს. არადა, ასეთი ორთაბრძოლა წლეულსვე შეიძლება გაიმართოს. ბოუს აფიქრებს ჰოლიფილდის ჯანმრთელობა. შარშან იგი არც თუ უსაფუძვლოდ უჩიოდა ტკივილებს გულის არეში, — განუცხადა მან ჟურნალისტებს, — ასეთ ტკივილებს ყოველთვის აქვს საფუძველი, ასე რომ ჰოლიფილდმა, უმჯობესი იქნება, უფრო მისაღები მეტოქე მოძებნოს. რაც შეეხება მის შეხვედრას ტაისონთან, ბოუს მიაჩნია, რომ იგი უსათუოდ შედგება გაისად, წლის პირველ ნახევარში.

● **სერიოზულ** სამზადისს შეუდგა მსოფლიოს მეორე ექსჩემპიონი მძიმე წონაში, ინგლისელი ლენოქს ლუისიც. ტაისონთან შეხვედრის განზრახვაზე არც მას აქვს აღებული ხელი, მაგრამ ჯერ უახლესი საქმეების მოგვარებას აპირებს, ეს უახლოესი საქმეები კი მატჩ-რევანში გახლავთ ოლივერ მაკოლისთან. შეგახსენებთ, რომ ლუისმა ჩემპიონის ქამარი დაკარგა 1994 წლის შემოდგომაზე სწორედ მაკოლისთან შეხვედრის შემდეგ.

● **კრივის** მსოფლიო საბჭოს (ვბს) პრეზიდენტ ს. მექსიკელ ხოსე სულეიმანს მიაჩნია, რომ მისმა თანამემამულემ, ახლა უკვე მსოფლიოს ექსჩემპიონმა 63,5 კგ-ში, ლეგენდარულმა ხულიო სესარ ჩავესმა უნდა დაასრულოს სპორტული კარიერა. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ამ დღეებში ჩავესმა წააგო თავისი მეასე გამოსვლა პროფესიულ რინგზე მასზე გაცილებით ახალგაზრდა ამერიკელთან, ოსკარ დე ლა ჰოიასთან. პრეზიდენტის განცხადებით, თუ ჩავესი დაუჯერებს მას, შერჩება ლეგენდარული მოკრივის იმიჯიცა და რაც არანაკლებად მნიშვნელოვანია, ჯანმრთელობაც. ნათქვამს შეიძლება დავუმატოთ, რომ ჩავესმა მართლაც ყურად იღო თავისი გავლენიანი თანამემამულის რჩევა და განაცხადა, რომ მომავალი წლის დასაწყისში დაასრულებს სპორტულ კარიერას.

● **ამასობაში** ცნობილი გახდა, რომ ოსკარ დე ლა ჰოია თავის პირველ სატიტულო ბრძოლას მსოფლიო ჩემპიონის რანგში გამართავს მექსიკელ მიგელ ანხელ გონსალესთან. თუმცა, ზოგი სპეციალისტის აზრით, არც მატჩ რევანშია გამორიცხული ჩავესთან. მომავალი წლის იანვრამდე დრო ჯერ კიდევ ბევრია.

ევროპის 1996 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში

●

(პირველი გვერდიდან)

ბევრი შოტლანდიელი თამაშობს და პირიქით) პირველი ტაიმი პოზიციური თამაშით აღინიშნა. მწვავე მომენტებიც ცოტა იყო და მეტოქეები მშვიდობიანი კონტრშეტევებით კმაყოფილდებოდნენ. სულ სხვაგვარად წარიმართა მეორე ტაიმი, როცა მაკმანამანმა მინდვრის შუაში გადაინაცვლა და გრძელი, გამჭოლი გადაცემებით სახიფათოდ გაჰყავდა მეტოქის საჯარიმოში თანაგუნდელები. თამაშის 50-ე წუთზე მის მიერ მარჯვნიდან წამოწყებული კომბინაცია კარში თავური დარტყმით დააგვირგვინა ალან შირერმა. 79-ე წუთზე კი ინგლისელთა კარში დანიშნული 11-მეტრიანი მეტოქეთა კაპიტანმა მეკარე სიმენს „უსწორა“ და კარი გადარჩა გოლს, რისთვისაც მკაცრად დაისაჯნენ შოტლანდიელები: გარღვევაზე გასულმა გასკოინმა მეორე გოლი გაიტანა მეტოქეთა კარში. 2-0 — გაიმარჯვეს ინგლისელებმა.

საფრანგეთი-ესპანეთი. ერთგვარად მორიდებულად გამოიყურება მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძელთა გუნდი. აქაც პირველმა ტაიმმა მშვიდად ჩაიარა. მეორეში კი ფრანგმა ფეხბურთელებმა წაიყვანეს ანგარიში, მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს უპირატესობა და მეტოქეს ბურთის გატანის საშუალება მისცეს — 1-1.

საკმაოდ გაძლიერებული და სრულ საბრძოლო ფორმაში შეხვდა გერმანიის გუნდი რუსეთის ნაკრებს. მწყობრში ჩადგა მათი ლიდერი კლინსმანი, რომელმაც „წინა ცოდვებისათვის“ ჩეხეთის გუნდთან შეხვედრა გამოტოვა. კლინსმან — ბირჰოფის პრობლემა თამაშის ბოლომდე გადაუჭრელი დარჩა რუსეთის ნაკრებისათვის. ამ დუეტის გარდა, გერმანელთა რიგებში გამოირჩეოდნენ ნახევარმცველები მიოლერი და ციგე, რომელთა წყალობით გუნდი კარგად აწყობილ და უნაკლო მანქანასავით გამოიყურებოდა.

მიუხედავად ამისა, რუსეთის გუნდს, განსაკუთრებით პირველი ტაიმის დასაწყისში უდრტვინველობას ვერ დავწამებდით. იგი აქტიურად ჩაება თამაშში, სადაც გამოირჩეოდნენ კოლივანოვი და ციმბალარი. გერმანელი ფეხბურთელები თანდათან დაეუფლნენ მინდვრის შუაგულს და თითქოს საგანგებო გამოცდა მოუწყვეს თბილისის „დინამოს“ ყოფილ მცველს ომარ თეთრაძეს, რომელმაც საუკეთესოდ ჩაატარა მთელი თამაში და არაფერში დაუდო ტოლი ძლიერი მეტოქის თავდამსხმელებს.

მეორე ტაიმის მე-13 წუთზე გერმანელთა მცველი ზამერი მინდვრის შუაგულში დაუსხლტა მეთვალყურეებს და კარის პირისპირ გასულმა ძლიერად დაარტყა. ბურთი მოიგერია ხარინმა, მაგრამ ხელიდან გაუვარდა და მას ყველაზე ადრე ზამერმა მიუსწრო. ანგარიში გაიხსნა. 70-ე წუთზე გერმანელებმა საჩუქარი მიიღეს — აილტსთან შეტაკებისთვის დაისაჯა კოვტუნი — მას მოედანი დაატოვებინეს; შვიდი წუთის შემდეგ კი კლინსმანმა თავისი საქმე გააკეთა და თითქმის საჯარიმო ხაზიდან ბურთი მეტოქის კარის მაღალ კუთხეში გაგზავნა — 2-0. შეხვედრის მიწურულს კი მან მიიღო კუნცის ჩაწოდება, ბურთიანად გაექცა მცველ ნიკიფოროვს და მესამედ აიძულა ხარინი ბურთი საკუთარი ბადიდან გამოეტანა. 3-0 გაიმარჯვა გერმანიის ნაკრებმა, რომელმაც 6 ქულით მეოთხედფინალში გასვლა პრაქტიკულად გაინაღდა.

ხორვატია — დანია. ოთხი წლის წინ დანიელმა „პრინცებმა“ ნამდვილი ფურორი მოახდინეს, როცა კონტინენტის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრეს. არადა, მაშინ მათ სერიოზულ მეტოქედ არავინ მიიჩნევდა... ახლა კი, სამწუხაროდ, დანიელებმა ვერაფრით დაამახსოვრეს თავი მაყურებლებს. მათ ვერც მიქაელ და ბრაიან ლაუდრუპებმა უშველეს და ვერც ბომბარდირმა ლარსენმა. უპირატესობას ხორვატიელები ფლობდნენ, რომელთა შორის გამოირჩეოდა შუკერი — 3-0.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

● **გაიმართა** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის მატჩი კარიბის ჯგუფში (კონკაკაფის ზონა) კუბისა და ჰაიტის გუნდებს შორის. ვინაიდან ამ ორ ქვეყანას არა აქვთ ურთიერთობა ერთმანეთთან, ფეხბურთელებმა ტრინიდადში ითამაშეს. შეხვედრა მოიგეს კუბელებმა დიდი ანგარიშით — 6-1.

● **დამთავრდა** პოლონეთის ეროვნული ჩემპიონატი. ოქროს მედლები ლოძის „ვიძევის“ ფეხბურთელებმა მოიპოვეს — 88 ქულა. გამარჯვებულს 3 ქულით ჩამორჩა ვარშავის „ლეგია“.

● **ცნობილი** გახდა უნგრეთის ჩემპიონის ვინაობაც. გათამაშების დამთავრებამდე ორი ტურით ადრე საპატიო ტიტული ბუდაპეშტის „ფერენცვაროშმა“ გაინაღდა.

● **უკრაინის** ჩემპიონობა კიევის დინამოელებმა მოიპოვეს. აი უმაღლეს ლიგას კი სამი გუნდი დატოვებს „ნიკოლაევი“, „ვოლინი“ და „ზარია“.

● **ფეხბურთელთა** ოლიმპიურ ტურნირში საასპარეზოდ ყოველ გუნდს შეუძლია გამოიყვანოს მხოლოდ სამი „ხანდაზმული“ (23 წელს გადაცილებული მოთამაშე). იტალიელებმა უკვე განსაზღვრეს ეს სამეული. ატლანტაში გაემგზავრებიან: მილანის „ინტერის“ 29 წლის მეკარე, მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ფინალური მატჩის მონაწილე ჯანლუკა პალიუკა, მისი თანაკლუბელი, 31 წლის ნახევარმცველი მასიმო კრიპა და „პარმის“ ფორვარდი, ასევე 31 წლის მარკო ბრანკა.

● **მსოფლიო** ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში წარუმატებლად გამოსვლის შემდეგ (ფრე ვენესუელასთან) თანამდებობიდან გადააყენეს ჩილის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ეროვნებით ბასკი ქსავიერ ასკარგორტა. ახალ მწვრთნელად დაინიშნა ნელსონ აკოსტა — „უნიონ ესპანიოლის“ დამრიგებელი.

● **მოსკოვის** „სპარტაკი“ იური ნიკიფოროვში იტალიის „პერუჯას“ 4 მილიარდ ლირს თხოვს. „პერუჯის“ პრეზიდენტი, თავის მხრივ, არ იქნება წინააღმდეგი თუ გუნდის ახლანდელი მწვრთნელი კარლო გალეონე გადადგება და მის ადგილს ან ნევიო სკალა, ან ოლეგ რომანცევი დაიკავებს.



ჩვენი გაზეთის 29-ე ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის დიაგრამაზე ტექნიკური მიზეზით არ არის აღბეჭდილი მხედრის მდგომარეობა, რისთვისაც რედაქცია ბოდიშს უხდის „ლელოს“ მკითხველებს. ვასწორებთ შეცდომას — შამათი სამ სვლაში.

კროსვორდი



თარაზულად: 5. ლეგენდარული ავტომობილი, 6. აღმოსავლური ორთაბრძოლა, 10. გამოჩენილი თანამედროვე იტალიელი ფეხბურთელი, 11. ფირმა, რომელიც დროის ხელსაწყოებით ემსახურება საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებს, 12. წარსულში სახელგანთქმული ურუგვაელი ფეხბურთელი, 15. მცხეთის საფეხბურთო გუნდი, 16. რადიკულიტი... 17. ცნობილი იტალიელი სათხილამურო მსოფლიო და ოლიმპიური ჩემპიონი, 18. საასპარეზო, 21. შეჯიბრების დაწყება, 23. საქართველოს ჩემპიონატის II ჯგუფში მოასპარეზე საფეხბურთო გუნდი. 27. სარბენი ბილიკის მაღალი ხარისხის საფარი, 29. ვლადიმერ ბარქაიას მეტსახელი, 30. ცნობილი ნორვეგიელი ქალის, ციგურებით სრიალში სამგზის ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოს და ევროპის მრავალგზის ჩემპიონის სახელი, 31. გამოჩენილი გერმანელი მოცურავე ქალი, 1973 წელს აღიარეს მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად, 32. ძალოსნობის ინვენტარი.

შვეულად: 1. ცურვის ყაიდა, 2. რუსი მოჭადრაკე ვაჟი, 3. აღლუმი... 4. მძლეოსნობის პროგრამა, 7. ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდი (II ჯგუფი), 8. ილეთი ჭიდაობაში, 9. საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში მონაწილე გუნდი, 13. ხელის პირდაპირი მიმართულება, 14. საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, 19. ფეხბურთში ევროპის ჩემპიონატში მონაწილე ქვეყანა, 20. გემი, რომლითაც საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა მელბურნის ოლიმპიადაზე, 22. ფეხბურთელის ჩასაცმელი ფორმის ნაწილი, 24. სასკოლო სპორტული, ტანვარჯიშული ინვენტარი, 25. გამოკითხვის ფურცელი, 26. მწყობრისთვის გაცემული განკარგულება, 28. ცნობილი შვედი ჩოგბურთელი.

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 5. რეიტინგი, 6. „ასპარეზი“, 9. „აინტრაპტი“, 11. ფალკაო, 12. ნარტა, 14. „ივერია“, 18. ქარტია, 20. იარდი, 21. უტოპია, 22. მაკაბიადა, 23. შუმახერი, 24. „მარგვეთი“.

შვეულად: 1. ბრინჯაო, 2. „ჩიკაგო“, 3. ნაბიჯი, 4. კიზირია, 7. ერერა, 8. აკრობატი, 10. ბერეჟნოი, 12. „ნაპოლი“, 13. „არმაზი“, 15. ვარჯიში, 16. კრაბე, 17. ნიგერია, 19. ახმახი, 21. უზანგი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თანაგრძნობას უცხადებს ამავე კომიტეტის აღმასკომის წევრს ვანო ყიფიანს შვილის

ლევან ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის წევრს ვანო ყიფიანს შვილის

ლევან ყიფიანის

გარდაცვალების გამო.

თბილისის მერიის სპორტის სამმართველო თანაგრძნობას უცხადებს ამავე სამმართველოს თანამშრომელს ბორის ჩაჩავას დედის

ლუბა შონია-ჩაჩავას

გარდაცვალების გამო.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380096, მ.კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გ.სიმონიშვილი. შემსრულებლები ნანა რამიშვილი, თეიმურაზ გიორგაძე